პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 29 (39). პარასკევი, 25 აგვისტო, 1944 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერში

— **ათი წლის თავზე** (მოწინავე).

— **ალექსანდრე ქუთელია** — რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა. წერილი მეხუთე: მ. გორკი მსოფლიო ლიტერატურაში.

— **გერონტი ქიქოძე** — ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან.

— **ალექსანდრე ქუთათელი** — სიმონ ჩიქოვანის „ჩემი მამული“.

— **გრ. ბერძენიშვილი** — მტრის ზურგში.

— **ვიქტორ გაბესკირია** — ამბავი შეიტყვეს (ლექსი).

— **სტ. შჩიპაჩევი** — ჭალარა. თარგმანი რუსულიდან **ი. გრიშაშვილისა**.

— **ზ. ლორთქიფანიძე** — დღის დაბადება (ლექსი).

— **ლევან გოთუა** — ლეჩხუმელი ქალი (სამხედრო ჩანახატი).

— **კლიმენტი გოგიავა** — ოსტატი (ნოველა).

— საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო სეზონი.

— **გრ. ნუცუბიძე** — სარაიონო თეატრების მუშაობის ზოგიერთი საკითხი.

— რუსთაველის თეატრი ახალი სეზონის წინ.

— ქრონიკა და ინფორმაცია.

ათი წლისთავზე

ათი წლის წინად — 1934 წლის აგვისტოში — შესდგა საბჭოთა მწერლების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ხსენებულმა ყრილობამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მწერლობის საუკეთესო ძალები, მხატვრული სიტყვის ოსტატები, უაღრესად ნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურის ზრდაზე, განმტკიცებაზე, მის აყვავებასა და გაფურჩქვნაზე.

ეს ყრილობა იყო კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურება იმ მშობლიური ზრუნვისა, იმ დაუღალავი ყურადღების და ხელშეწყობისა, რომელსაც მხატვრული სიტყვის ოსტატების მიმართ ყოველთვის იჩენდა და იჩენს **ლენინ-სტალინის** პარტია, საბჭოთა მთავრობა. ხალხთა ბრძენმა ბელადმა, დიდმა **სტალინმა** მწერალს ადამიანის სულის ინჟინერი უწოდა. მთელი განვლილი წლების მანძილზე საბჭოთა ლიტერატურის კადრები არ ზოგავდნენ თავის შემოქმედებითს ნიჭსა და უნარს, თავის მდიდარ ლიტერატურულ გამოცდილებას, რათა ღირსეულად გაემართლებინათ ეს მაღალი შეფასება. საბჭოთა მწერლებმა, როგორც ადრე, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე სამამულო ომის მრისხანე დღეებში საქმით დაამტკიცეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხის წინამძღოლის — ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი ბელადის, გენიალური მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინისადმი.

საბჭოთა ლიტერატურამ ეს შესძლო სწორედ იმიტომ, რომ ის მთელი არსებით განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ცხოვრებასთან. ის ამ ხალხის წიაღში დაიბადა, აყვავდა და გაიფურჩქნა. მწერალთა პირველ ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა ამხანაგი **ა. ა. ჟდანოვი**, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურის ზრდა არის „გამოხატულება ჩვენი სოციალისტური წყობილების მიღწევებისა და წარმატებებისა. ჩვენი ლიტერატურა არის ყველაზე უფრო ახალგაზრდა ყველა ხალხის და ქვეყნის ლიტერატურათა შორის. ამასთან ერთად ის არის ყველაზე იდეური, ყველაზე მოწინავე და ყველაზე რევოლუციური ლიტერატურა“. ამ იდეურობას, ამ მოწინავეობას, ამ დიად რევოლუციურ სულს ზრდიდა და აწრთობდა ბოლშევიკური პარტია, რომელმაც არნახული, კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო აყვავების პირობები შეუქმნა მწერლობას, ახალი მსოფლიო ჰორიზონტები გადაუშალა თვალწინ, დააკავშირა ხალხთან და ხალხის სულიერი ცხოვრების განუყრელ ნაწილად აქცია.

მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე ძირითადი მოხსენებით გამოვიდა სოციალისტური რეალიზმის პირველი კლასიკოსი მაქსიმ გორკი. ამ მოხსენებაში დასახული იყო საბჭოთა მწერლის შემოქმედების ნათელი პროგრამა. გორკიმ მისთვის ჩვეული სიმკვეთრით და დამაჯერებლობით დაასაბუთა, რომ საბჭოთა ლიტერატურის წინსვლის მთავარი პირობა — ხალხურობის და სოციალისტური რეალიზმის პრინციპების განმტკიცებაა. გენიალურმა მწერალმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა შრომის როლსა და მნიშვნელობაზე მსოფლიო კულტურის ისტორიაში. მან მოუწოდა მწერლებს სრულყოფილად აესახათ სასიხარულო და საამაყო შრომა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სახელისა და დიდების საქმედ იქცა, აესახათ შრომა, რომელშიაც განხორციელებულია საბჭოთა ხალხის ნათელი გონება და ფოლადისებური ნებისყოფა.

გორკიმ საბჭოთა ლიტერატურის უმთავრეს სასიცოცხლო თვისებებად აღიარა ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი. მან მოუწოდა მწერლებს განემტკიცებინათ მხატვრული შემოქმედების საშუალებით ეს უკვდავი გრძნობები, ეს უკეთილშობილესი ტრადიციები ჩვენი ხალხის ისტორიისა.

ათი წლის წინად, მწერალთა პირველ ყრილობაზე გორკიმ აღიმაღლა ხმა ველური ფაშისტური ბანდების წინააღმდეგ; გორკი აღნიშნავდა, რომ ფაშიზმი ეს არის ბნელ შუა-საუკუნეებისაკენ დაბრუნების უსაძაგლესი ცდა, ფაშიზმი — გახრწნილ არამზადათა ბინძური ხროვის „იდეოლოგიაა“, იმ მაწანწალების ბოდვაა, რომელთაც სურთ სისხლში ჩაახრჩონ მოწინავე კაცობრიობა, გაანადგურონ მისი კულტურა.

გორკი მოუწოდებდა ამ ველურობის წინააღმდეგ ულმობელი და სასტიკი ბრძოლისაკენ. ასრულებდა რა დიდი მწერლის ამ მოწოდებას — საბჭოთა მწერლობა განვლილი ათი წლის მანძილზე ზრდიდა თავის მკითხველის სულში პატრიოტიზმის უწმინდეს გრძნობას, ანმტკიცებდა სამშობლოსათვის თავგანწირვის კეთილშობილურ იდეას, ანმტკიცებდა მტრისადმი სიძულვილის უწმინდეს გრძნობას. ამ მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. საბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, მის სულიერად გამოწრთობის საქმეში საბჭოთა ლიტერატურამ თავისი ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

მწერალთა ყრილობამ უდიდესი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატორების უფრო ახლოს დაკავშირებისა, შემოქმედებითი თანამეგობრობის განმტკიცებისა და გაფართოების საქმეში. მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ამ ოჯახს ღირსეულად მეთაურობდა დიდი რუსული ლიტერატურა. ეს შემოქმედებითი თანამეგობრობა დაფუძნებულია და აღმოცენებულია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობაზე, საბჭოთა ხალხის სტალინური მეგობრობის ურყევ საფუძველზე.

განვლილი ათი წლის მანძილზე გაიზარდა და აყვავდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა. საბჭოთა ხალხების დიდი კულტურის საგანძურში ქართული ლიტერატურა და ხელოვნება იწვევს ღრმა ინტერესს და იმსახურებს გულწრფელ სიყვარულს. მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა მივეცეთ თვით დამშვიდებას და თვითკმაყოფილებას. ამოცანები, რომლებიც სამამულო ომის ეპოქამ დააყენა ჩვენი მწერლობის წინაშე — ჯერ კიდევ გადაჭრილი არ არის. ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა გავაკეთეთ შედარებით იმასთან, რასაც ჩვენგან ჩვენი ხალხი მოითხოვს, და რასაც ელის საბჭოთა ლიტერატურისაგან მთელი მსოფლიო, რომელიც აღფრთოვანებულია საბჭოთა ადამიანების სიდიადით და ლეგენდარული სიმამაცით. ჩვენ ვალდებულნი ვართ კაცობრიობისათვის, ისტორიისათვის აღვბეჭდოთ გმირული ღვაწლი იმათი, ვინც მხედრული ბრძოლით, თავდადებული შრომით უზრუნველჰყო ჩვენი სამშობლოს გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე.

კერძოდ ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე კონკრეტულად სდგას დიდი ამოცანა — ასახული იქნეს კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა. ორმოცდაორი წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჰიტლერელთა ურდოები მოაწყდნენ კავკასიონის კალთებს. ამიერ-კავკასიის ხალხთა სიცოცხლეს სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა. ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ**, ასრულებდა რა დიდი **სტალინის** ნება-სურვილს, დარაზმა კავკასიის ხალხთა ძალები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, აღაფრთოვანა ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარები და საბჭოთა ზურგის ადამიანები. მტრის ურდო შეჩერებულ იქნა, ხოლო შემდეგ უკუგდებულ და განადგურებული იქნა. ამ დიდ ბრძოლებში თავი ისახელა საქართველოს ბევრმა შვილმა, რომელნიც აღზარდა და ბოლშევიკური სულისკვეთებით გამოაწრთო ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ.

ამ მამაც პატრიოტთა სახე ჯერ კიდევ არა სჩანს ჩვენს ლიტერატურაში. ქართველმა მწერლებმა უფრო გულმოდგინედ, უფრო ენერგიულად, მთელი ძალღონის დაჭიმვით უნდა იმუშაონ სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის ადამიანების ცხოვრებისა და ბრძოლის წარმტაც თემატიკაზე.

ნარკვევი საბჭოთა ლიტერატურაზე

საბჭოთა კრიტიკოსმა კ. ზელინსკიმ დაამთავრა მოკლე ისტორიული ნარკვევი „საბჭოთა ლიტერატურა“. ნარკვევში მოცემულია თვალსაჩინო საბჭოთა მწერლების დახასიათებები. წიგნი გამოდის ოთხ ენაზე აკადემიკოს ი. ლ. კაპიცას წინასიტყვაობით. ინგლისური გამომცემლობა ხეტჩინსონი ამ წიგნს სცემს ილუსტრაციებით. სხვათა შორის, ინგლისურ გამოცემაში სხვა ცნობილ რუს მწერლებთან ერთად მოთავსებული იქნება ოთხი ქართველი მწერლის — კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, გალაქტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის პორტრეტები.

ალექსანდრე ქუთელია

რუსული კლასიკური ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა

წერილი მეხუთე: მ. გორკი მსოფლიო ლიტერატურაში

ფეოდალიზმის დასასრული და კაპიტალისტური ეპოქის დასაწყისი ლიტერატურაში დანტეს ფიგურით აღინიშნა. დანტე, ენგელსის გამოთქმით, საშუალო საუკუნეების უკანასკნელი პოეტია და იმავე დროს პირველი პოეტი ახალი დროისა. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს კაპიტალიზმი თავის უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმის სტადიაში შევიდა. დადგა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქა. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის წინაშე უდიდესი ამოცანა წამოიჭრა: საჭირო იყო მხატვრული ასახვა ახალი ეპოქის დაბადებისა და განვითარებისა. ამ მსოფლიო-ისტორიული ამოცანის შესრულება დასავლეთ-ევროპის არცერთი ქვეყნის ლიტერატურას არ ეწერა. იგი რუსეთის მწერლობამ შეასრულა, და ეს არ ყოფილა არც შემთხვევა და არც კაპრიზი ისტორიისა. ეს იყო სრულიად კანონზომიერი მოვლენა, იგი რუსეთის მთელი სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური განვითარებით იყო მომზადებული. XIX საუკუნის ბოლოს რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რუსეთისაკენ გადმოინაცვლა. რუსეთს ყველაზე უფრო იდეური და დემოკრატიული ლიტერატურა გააჩნდა.

მ. გორკი პროლეტარული ხელოვნების ფუძემდებელი და პირველი კლასიკოსი, რუსული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების კანონიერი მემკვიდრეა და განმგრძობი. გორკი ახალი ქვეყნის და ახალი ადამიანის მქადაგებლად და განსახიერებად იქცა. მის მხატვრულ შემოქმედებაში მუშათა კლასმა პირველად იხილა თავისი თავი, თავისი ძალა და სილამაზე, სიმამაცე და კეთილშობილება. ვ. ი. ლენინი სწერდა, რომ „გორკი — უთუოდ უდიდესი წარმომადგენელია **პროლეტარული** ხელოვნებისა“, რომელმაც „თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას“.

მ. გორკიმ, ხალხიდან გამოსულმა ამ ნამდვილმა ადამიანმა, როგორც მას ტოლსტოიმ უწოდა, ლიტერატურაში პირველი შემოსვლისთანავე ახალი თემა მოიტანა და ახლებურად დასვა საკითხი სინამდვილესთან ხელოვნების დამოკიდებულების შესახებ. მ. გორკი, რ. როლანის შესანიშნავი სიტყვებით, დანტეს მსგავსად ჯოჯოხეთიდან გამოვიდა. მაგრამ ის იქიდან მარტო არ გამოსულა. მან თან წამოიყოლა, მან იხსნა თავისი ტანჯვის თანამოზიარენი.

გორკიმ რუსული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შექმნა ახალი ეპოქა — არაჩვეულებრივად მდიდარი და შესანიშნავი.

კლასიკოსების კრიტიკული რეალიზმის ადგილზე გორკიმ სოციალისტური რეალიზმი დააფუძნა. ძველი კლასიკოსები კრიტიკული რეალიზმით დაუნდობლად აშიშვლებდნენ და ამათრახებდნენ თავიანთი დროის მთელ სიდამპლესა და უგვანობას. გორკიმ განაგრძო ეს ხაზი. „ისტორიამ ჩვენ ძველ ქვეყანასთან დაუნდობელი ბრძოლისათვის მოგვიწოდა“, — აღიარა მან. გორკიმ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა „ცხოვრების ტყვიისებრ სისაძაგლეს“. მაგრამ ამ ბრძოლით არ იფარგლებოდა მისი ამოცანა, რა დაუნდობელი და მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო ეს ბრძოლა. გორკი ამავე დროს ჰქმნიდა და განამტკიცებდა. მის დაუნდობელ უარყოფაში მოსჩანდა ახალი ხანა, ხანა ნათელი მომავლისა. უარყოფის კრიტიკა მასთან „დიად მიზანთა სიმაღლიდან“ მოდიოდა. „მარტო იმით კი არ არის ჩვენი ცხოვრება გასაოცარი, — სწერდა გორკი „ბავშვობაში“, — რომ მასში ასე ნაყოფიერი და მსუქანია ყოველგვარი პირუტყვული სისაძაგლის ფენა, არამედ მით, რომ ამ ფენის ქვეშ მაინც ძლევით აღმოცენდება კაშკაში, ჯანსაღი და შემოქმედებითი, იზრდება კეთილი, ადამიანური, აღძრავს რა ჩვენი აღორძინების ურყევ იმედს ნათელი, ადამიანური ცხოვრებისადმი“.

არ შეიძლება, რასაკვირველია, ითქვას, რომ რევოლუციამდელი კლასიკოსები, როდესაც აკრიტიკებდნენ, ჰგმობდნენ, ჰკიცხავდნენ, — ამა თუ იმ ფორმით არ მიუთითებდნენ გამოსავალზე, არ ხატავდნენ თავიანთ იდეალებს. მოვიგონოთ თუნდაც ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა არა მარტო რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ ევროპის ბევრ მოაზროვნეზე[1]). თვითონ გორკი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსულ ლიტერატურას განასხვავებდა როგორც ლიტერატურას საკითხებისა: „რა ვაკეთოთ?“ „ვინ არის დამნაშავე?“. მაგრამ ძველი გზა უტოპიური იყო. გორკის მიერ მითითებული გზა კი მეცნიერულად იყო დასაბუთებული მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის მიერ. ამის გამო გორკი ძველ ქვეყანას უფრო ღრმად და უფრო დამაჯერებლად აკრიტიკებდა. „წარსულის შხამიანი, კატორღული საზიზღრობა, — სწერდა გორკი, — კარგად გაშუქებული და გასაგები რომ იყოს, აუცილებელია კაცმა განივითაროს უნარი იმისა, რომ მას აწმყოს მიღწევების სიმაღლიდან, მომავლის დიად მიზანთა სიმაღლიდან უცქიროს. ეს მაღალი თვალსაზრისი აღძრავს იმ მხიარულ პათოსს, რომელიც ჩვენს ლიტერატურას ახალ იერს აძლევს, და ეხმარება მას შექმნას ახალი ფორმები, შექმნას ჩვენთვის აუცილებელი მიმართულება — სოციალისტური რეალიზმი“.

„დიადი მიზნების სიმაღლეები“ — ეს ლენინისა და სტალინის იდეებია. ამ იდეებმა მ. გორკის ნაწარმოებები, მთელი მათი დრამატიზმის მიუხედავად, ვაჟკაცური, გამამხნევებელი და ოპტიმისტური გახადეს. სიცოცხლის განმამტკიცებელი ოპტიმიზმი მის ნაწარმოებთა ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. დრამატიზმის ღრმა გამამხნევებელი და უსაზღვრო ოპტიმისტური ხასიათის გაუგებლობა განაპირობებს ისეთ ადამიანთა შეცდომასაც კი, როგორიც რ. ლუქსემბურგია, რომელიც გორკის ნაწარმოებთა დრამატიზმის საფუძველზე მას დოსტოევსკის უახლოვებს. ეს ორი მწერალი პირდაპირ ანტიპოდები არიან. ამის მტკიცება არ არის საჭირო, ეს ცნობილია თვითონ გორკის მოსაზრებებიდან დოსტოევსკის შესახებ. მართალია, გორკი გამოხატავს ძველი ქვეყნის სიბნელესა და ბოროტებას მთელი დრამატიულობით, მაგრამ მის ნაწარმოებებში მუდამ მკვეთრად გამოსჭვივის სულისჩამდგმელი, აღმაფრთოვანებელი პერსპექტივა, მის წყვდიადში შუქი მოსჩანს. გორკი გრძნობათა და აზრთა ორგანიზებას ახდენს გმირული საქმისა და ბრძოლისათვის. მის გმირებს რევოლუცია მოაქვთ, ისინი ყოველგვარი ხერხითა და საშუალებით უწევენ წინააღმდეგობას ცხოვრების ბოროტებას, რომელშიც ძალმომრეობას უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს. მათ სძულთ ტანჯვა.

გორკის ნაწარმოებები სოციალიზმის იდეით სუნთქავენ. ამიტომ, როგორც ბერნარდ შოუმ სთქვა, გორკის წიგნები გაფურჩქვნის წიგნები იყვნენ და არა საშინელი სამსჯავროს წინასწარმეტყველება. სოციალიზმის დიად მსოფლმხედველობას გორკის დიადი პიროვნება ჩაექსოვა.

ისე არავის არ ეხება შესანიშნავი სიტყვები როზა ლუქსემბურგისა, რომლებიც მან საერთოდ რუსული ლიტერატურის გამო სთქვა, როგორც გორკის: „პიროვნების სიდიადისა და მსოფლმხედველობის სიდიადის გარეშე არ არსებობს დიადი ხელოვნება“, „მტკიცე ზეგავლენისათვის, საზოგადოების ჭეშმარიტი აღზრდისათვის მეტია საჭირო, ვიდრე ტალანტი, საჭიროა პოეტური პიროვნება, ხასიათი, ინდივიდუალობა, — დასრულებული, მრავლისმომცველი მსოფლმხედველობის სიმაგრეში ფესვგადგმული“.

განამტკიცებდა რა ახალ კულტურას და ახალ ხელოვნებას, გორკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შრომის შემოქმედებითს მნიშვნელობას. შრომის, შემოქმედებითი ძალის გამომჟღავნება მისი მოღვაწეობისა და მთელი ფილოსოფიურ-ესთეტიკური მსოფლმხედველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპად იქცა. თვით ცნება კულტურისა და ხელოვნების არსებისა გორკის შრომის არსებიდან გამოჰყავს. 1928 წ. 27 ივნისს გორკიმ თავის სიტყვაში თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომაზე სთქვა:

„მე რომ კრიტიკოსი ვიყო და მაქსიმ გორკიზე წიგნსა ვწერდე, მე ვიტყოდი, რომ მასში ის ძალა, რომელმაც გორკი აქცია იმად, რაც იგი არის, როგორიც დგას იგი თქვენს წინაშე, იმ მწერლად, რომელიც თქვენ ასე გადაჭარბებით გიყვართ, იმაში მდგომარეობს, ამხანაგებო, რომ მან რუსულ ლიტერატურაში პირველმა და, შესაძლებელია, ცხოვრებაში პირველმა აი ასე, პირადად, გაიგო უდიადესი მნიშვნელობა შრომისა, რომელიც ჰქმნის ყველაფერს ძვირფასს, ყველაფერ მშვენიერს, ყოველივე დიადს ამ ქვეყნად“.

რევოლუციამდელი კლასიკოსების ჰუმანიზმი გორკიმ მებრძოლ სოციალისტურ ჰუმანიზმად აქცია. „ჩინებული თანამდებობაა ქვეყნად ადამიანად ყოფნა“, „ადამიანი — ეს ამაყად ისმის“ — ამბობდა გორკი, და ეს სიტყვები ლოზუნგად და მოწოდებად იქცნენ ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ეს განუსაზღვრელი სიყვარული ადამიანისადმი განუსაზღვრელ სიძულვილს მოითხოვს ადამიანის ყველა მტრისადმი. „პროლეტარიატის ჰუმანიზმი, — სწერდა გორკი, — ჩაუქრობელ სიძულვილს მოითხოვს მეშჩანობის, კაპიტალისტების ხელისუფლების, მათი ლაქიების, პარაზიტების, ფაშისტების და ჯალათების მიმართ, მუშათა კლასის გამცემლების მიმართ, სიძულვილს ყველაფრის მიმართ, რაც კი იწვევს ტანჯვას, ყველას მიმართ, ვინც კი ასობით მილიონ ადამიანთა ტანჯვით ცხოვრობს“. ამ ჩაუქრობელი სიძულვილის გარეშე შეუძლებელია თვით სიყვარული. „თუ არ იცი სიძულვილი, შეუძლებელია იცოდე გულწრფელი სიყვარული“, ადამიანისადმი მგზნებარე სიყვარულის პირდაპირ შედეგს წარმოადგენენ ჰუმანისტ გორკის შესანიშნავი სიტყვები: „თუ მტერი არ ნებდება, — მას სპობენ“. ეს შესანიშნავი სიტყვები განსაკუთრებით ეხმაურება ჩვენს ეპოქას, როდესაც ჩვენი ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა კაცობრიობის და კულტურის დაუძინებელი მტრების — გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. შემთხვევითი არ არის, რომ გორკის ზემოთმოყვანილი სიტყვები დიდი სტალინის ერთ-ერთ ბრძანებაში შევიდა.

უდიდესი იყო გორკის რევოლუციური გავლენა მსოფლიო ლიტერატურაზე. განსაკუთრებულმა მხატვრულმა ნიჭმა და გამოსახატავ საკითხთა სიახლემ მაშინვე უზრუნველჰყვეს გორკის მსოფლიო სახელი. მისმა სახელმა, როგორც ელვამ, მთელ ქვეყანას დაუარა. ფრანგული ჟურნალი „La Revue des Revues“ 1900 წლის იანვარში ბეჭდავს „თომა გორდეევის“ ნაწყვეტების თარგმანებს და მის ავტორს ახასიათებს შემდეგი სიტყვებით: „ეს ახალგაზრდა რუსი მწერალია, რომელმაც ძლიერ წამოიწია წინ ამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. მისმა პირველმა მოთხრობებმა მაშინვე შეუქმნეს მას პირველი რანგის მწერლის სახელი. გორკიმ რამდენიმე თვის წინ გამოსცა მოთხრობათა ორი ტომი, რომლებიც უკვე გაიყიდა. მზადდება ახალი გამოცემა სამ ტომად. გორკის პირველ რომანს „თომა გორდეევს“ აღტაცებაში მოჰყავს საზოგადოება. მის მოთხრობებში ასახულია მეზღვაურების, მუშების და მაწანწალების ცხოვრება, ასახულია უდიდესი ოსტატობით და ხალხის ცხოვრების, ავტორისათვის მახლობელი ცხოვრების, ღრმა ცოდნით“.

ერთი წლის განმავლობაში „თომა გორდეევი“ საფრანგეთში უკვე მესამე ცალკე გამოცემად გამოვიდა. გორკის წარმატება აქ ისე საყოველთაო ხდება, რომ უკვე 1901 წ. ფრანგი კრიტიკოსი ანრი ბორდო სპეციალურ სტატიაში სახელწოდებით „შეჭრა“ — გამოდის ფრანგულ ლიტერატურაში გორკის და ჩეხოვის შეჭრის წინააღმდეგ, რომლებიც, მისი სიტყვებით, ფრანგ მწერლებს ბაზრიდან სდევნიან. გერმანიაში 1902 წ. ერთდროულად გამოვიდა გორკის თხზულებათა ორი კრებული: ერთი ბერლინში — შვიდტომიანი, მეორე — ლაიპციგში — ხუთტომიანი.

თვით რუსეთში 1897 წლიდან 1916 წლამდე გორკის ნაწარმოებები გამოცემული იყო 1.072 ათას ეგზ. ტირაჟით. საბჭოთა ხელისუფლების 20 წლის მანძილზე გორკის ნაწარმოებები გამოიცა 33.089 ათასი ეგზ. ტირაჟით. „დედა“ 20 წლის განმავლობაში რუსულ ენაზე 1.171 ათასი ეგზ. ტირაჟით გამოვიდა. ეს ნაწარმოები აგრეთვე სსრკ ხალხების 23 ენაზე გამოიცა 301 ათასი ეგზ. ტირაჟით. იმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რომ 1927 წლის შემდეგ ეს თავისთავად ასტრონომიული ციფრები ბევრად გაიზარდა. საერთოდ მ. გორკი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. მან 1.200 ნაწარმოები დასწერა.

უკვე პირველი რევოლუციის პერიოდში „ქარიშხალის“ ავტორი მსოფლიო მწერლად იქცა. „გორკის საქმე — ჩვენი საერთო საქმეა. ისეთი ტალანტი, როგორიც გორკია, მთელ მსოფლიოს ეკუთვნის. მთელი ქვეყანა არის დაინტერესებული მისი განვითარებით“ — სწერდა ანატოლ ფრანსი მეფის მთავრობის მიერ მ. გორკის დაპატიმრების გამო.

ბერნარდ შოუ, აღნიშნავდა რა გორკის ნაწარმოებთა ფართო გავრცელებას საზღვარგარეთ, სწერდა: „მწერალთა რაოდენობა, რომელთა ნაწარმოებები საზღვარგარეთ სახელს იხვეჭენ — ძალიან ცოტაა. გორკი — ერთი ამ მცირეთაგანია. XIX საუკუნეში ინგლისში რუსი მწერლებიდან ძლიერ ინტერესს იწვევდნენ ჯერ ტურგენევი და ტოლსტოი, შემდეგ დოსტოევსკი და, ბოლოს, გორკი და ჩეხოვი. ამ მწერალთაგან მხოლოდ გორკიმ ასახა რევოლუციის გზა... გორკის გმირები თავიანთ თავში რევოლუციას ატარებდნენ, და ამიტომ გორკის წიგნები გაფურჩქვნა-აყვავების წიგნები იყო“. ეპტონ სინკლერი აღნიშნავს, რომ გორკიმ თავის ნაწარმოებებში მუშათა და გლეხთა მილიონების ბედს ხორცი შეასხა. „იყვნენ დიადი მწერლები, — სწერდა იგი, — მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ისეთი, რომ გორკის მსგავსად თავის თავში, თავის უკვდავ ნაწარმოებებში შეეწოვა მუშათა და გლეხთა მილიონების ბედ-იღბალი. მისი დამსახურებანი მშრომელი კაცობრიობის წინაშე აურაცხელია“. მ. გორკი მსოფლიოს გამოჩენილ მწერლებს ასწავლიდა, რომ არ არის და არც შეიძლება იყოს დიდი ლიტერატურა სიმართლისათვის დაჩაგრულთა გრანდიოზულ და მძიმე ბრძოლასთან კავშირის გარეშე. ამ მთავარ და მწვავე საკითხში ის მასწავლებლად და მსაჯულად იქცა. „და მეც ვსწავლობდი მისგან, — სწერდა ე. სინკლერი, — რომ დიადი ლიტერატურა არ შეიძლება ღარიბთა და ჩაგრულთა დიადი ბრძოლისაგან განზე იდგეს“.

ფრანგი მწერალი ვიქტორ მარგერიტი გორკის „ახალი დროების წინასწარმეტყველს“ უწოდებს. რომენ როლანის სიტყვით, გორკის დაკარგვა უდიდესი დანაკლისი იყო კაცობრიობისათვის ლენინის სიკვდილის შემდეგ.

„მე მხოლოდ ერთი მილიონთაგანი ვარ, — სწერდა ის, — რომლისთვისაც გორკის სიკვდილი უდიდესი დანაკლისია კაცობრიობისათვის იმ ხნიდან, რაც ლენინი გარდაიცვალა. გორკი პირველი უმაღლესი მხატვარი იყო სიტყვისა. არც ერთ დიად მწერალს არ უთამაშნია უფრო მაღალი როლი“.

თეოდორ დრაიზერი გორკში ხედავს რეალიზმის გამოჩენილ წარმომადგენელს. იგი სთვლის, რომ გორკი იყო დიადი წარმომადგენელი იმ ლიტერატურული მიმდინარეობისა, რომელიც აღძრავს და მიმართავს ადამიანის აზრს. „გორკი, — სწერს ის, — რეალისტ მწერალთა მსოფლიო პლეადის წარმომადგენელია. ის ხედავდა ჩვენს აწმყოს და მომავალს იმ ძნელად მისაღწევი მწვერვალებიდან, საიდანაც თვალწინ იშლება ყველაზე ფართო და ყველაზე ნათელი პერსპექტივა... მხოლოდ ის ლიტერატურა, რომლის ოსტატიც გორკი იყო, არის ლიტერატურა, რომელიც ხედავს ჩვენი რეალური ცხოვრების დიად მწუხარებათა და სიხარულთ, — მხოლოდ ასეთი ლიტერატურა აღძრავს და მიმართავს ადამიანის აზრს. ის ადამიანს ეკონომიური განთავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების ასაგებად უხსნის გზას. მე მწამს, რომ ჩვენი მწერლებიც გაიგებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ცხოვრების ის ცოდნა, რომელსაც გორკი ჰფლობდა“.

სტეფან ცვაიგმა გორკის უწოდა ადამიანური სიმართლის მომღერალი. გორკი, მისი აზრით, პატიოსანი სულის, აზრისა და გრძნობის განსახიერებაა. სიმართლე და გულწრფელობა — ეს გორკის არსია. მას თავისი ბუნებით არ შეუძლია არ იყოს ალალმართალი. გორკი — მთელი მოწინავე კაცობრიობის სინიდისია. ის მილიონთა მორალური ძალაა. ის ასეთი გახდა მაშინ, როდესაც ადამიანები ცთუნების ჯოჯოხეთური ძალით იყვნენ გარემოცულნი. ს. ცვაიგი სწერდა: „ამ სიმართლეს, ეგზომ მშვენიერსა და დამაჯერებელს, — მე ბავშვობიდან ვგრძნობდი მაქსიმ გორკის მიერ დაწერილ ყოველ სტრიქონში. ამ კაცს არავითარი ძალღონის ხმარება არ უნდა იმისთვის, რომ ალალმართალი იყოს, მას უბრალოდ არ შეუძლია სხვანაირი იყოს, მის თვალთა ორბიტში, როგორც წყაროში, თავმოყრილია მთელი რეალობა ქვეყნისა და იქიდან იგი, შემოქმედებით ასახული, შარავანდედით მოსილი გვინათებს... ჩვენი დროის არც ერთი მხატვარი არ განგვაცდევინებს იმდენს მისი წიგნების კითხვის ჟამს, რამდენსაც გორკი... დაკვირვების, მოსმენის, გრძნობის, აზროვნებისა და თხრობის ეს დიდებული პატიოსნება მაქსიმ გორკის ჩვენთვის ერთადერთ მწერლად აქცევს ყველა ჩვენს მწერალთა შორის, მით უმეტეს, რომ არასოდეს ამისათვის არ იყო საჭირო ისეთი მორალური ძალა, როგორც დღეს...“

შემდეგ ს. ცვაიგი აღნიშნავს, რომ გორკი ყველაზე უფრო რუსია რუსთა შორის და მან რუსი ადამიანი მთელი თავისი რეალური ცხოვრებით გვიჩვენა. „მან მთელ ქვეყანას ცოცხლად აჩვენა ათასობით სახეები და ტიპები, — სწერს იგი, — რუსი ადამიანისა, ისეთი, როგორიც არის ის სინამდვილეში... ის მთელ თავის ძალღონეს და მთელ თავის ვნებას სწირავს იმისთვის, რომ მთელი არსებით მორალურ ძალად ემსახუროს მილიონებს, მთელ კაცობრიობას. ის ყველაზე უფრო შრომისმოყვარულია ყველა მშრომელთა შორის, ის ყველაზე უფრო რუსია ყველა რუსთა შორის, ის აღსავსეა ყველაზე უფრო ღრმა რწმენით, რომელიც შეუძლია ჰქონდეს ხალხს, რომელსაც თავისი თავის რწმენა აქვს“.

გორკი მსოფლიოს ბევრი მოწინავე მოაზროვნისათვის გაკვეთილად და მისაბაძად იქცა. მისი სახელი საფიცარი გახდა. გორკის მორალური შემოქმედების შესახებ იგივე სტეფან ცვაიგი ამბობდა: „ეს მოვლენა ისეთი დიადია და შემაძრწუნებელი, რომ ის ჩვენთვის მხილებაა. თვითეულმა ჩვენგანმა, ფიქრობს რა გორკიზე, უნდა იგრძნოს, რომ თვითონ არასაკმარისად იღწვის და იღწვოდა. და თვითეული ამ დროს გრძნობს, რომ მან უნდა აამაღლოს თავისი უნარი — იყოს ალალმართალი, თავისი უნარი — იმოქმედოს ვნებიანად და სინდისიერად“.

გორკის შემოქმედება და სახელი კაცობრიობის ყველა მეგობრებს იმორჩილებდა თავისი ძალითა და მიმზიდველობით, აძვინვარებდა და ცოფს ჰგვრიდა მის ყველა მტერს. გორკი ცხოვრობდა და ჰქმნიდა მშრომელთა სასიხარულოდ, მტერთა საზარად. ამას უსურვებდა მას მისი დიადი მეგობარი სტალინი, „გისურვებთ თქვენ, — სწერდა ამხანაგი სტალინი გორკის მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავის დღეს, — მრავალ წელს სიცოცხლესა და მუშაობას ყველა მშრომელთა სასიხარულოდ და მუშათა კლასის მტრების საზარად“.

გორკი თავისი ტალანტის ძლიერებით, თავისი მხურვალე გრძნობის მთელი ცეცხლით ამათრახებდა კაცობრიობის დაუძინებელ მტრებს — ფაშისტებს, გორკი ფაშიზმს უწოდებდა „უგუნურთა დანაშაულებას“. მისი აზრით, ეს იყო „საბედისწერო სიმსივნე ძველი ქვეყნის სხეულზე“. ფაშიზმი — სწერდა გორკი — „წარმოადგენს ყველაზე უფრო საზიზღარი არამზადებისა და ფლიდებისაგან შერჩეულ ორგანიზაციას ყველა დანარჩენ ადამიანთა დასამონებლად, მათ აღსაზრდელად შინაურ ცხოველებად“.

1934 წელს, ფაშისტური სამხედრო ავანტიურების დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, გორკი სწერდა: „ჩვენ კატასტროფის წინადღის წინაშე ვდგევართ. ფაშიზმი ამზადებს ახალ საყოველთაო სასაკლაოს“. გორკი თავისი მძლავრი ხმით მოუწოდებდა ჩვენს ხალხს და მთელ მოწინავე კაცობრიობას ფაშიზმის განადგურებისაკენ, ის მოუწოდებდა წითელი არმიის ყოველნაირად განსამტკიცებლად. ის წინასწარ ხედავდა მის დიად განმათავისუფლებელ მისიას ფაშიზმთან ბრძოლაში და მის გამარჯვებას. „ეს იქნება ბრძოლა, — სწერდა ის, — სადაც მოტყუებული მონების არმიის წინააღმდეგ... აღსდგება არმია, რომლის თვითეულ მეომარს კარგად ეცოდინება და კარგად იგრძნობს, რომ ის თავისი თავისუფლებისათვის, თავისი უფლებისათვის იბრძვის, რომ იყოს ერთადერთი ბრძანებელი თავისი ქვეყნისა. ეს მეომარი გაიმარჯვებს კიდევაც“. გორკის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ახდა.

დიდი სტალინი, ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ჯერ კიდევ 1941 წლის ნოემბერში, როდესაც მტერს, რომელმაც გამოიყენა რა თავისი თავდასხმის მოულოდნელობა და თავისი არმიის მთელი მობილიზებულობა, მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა, ააშკარავებდა რა ჰიტლერელთა უგუნურ გეგმებს — მოსპოთ დიადი რუსი ერი, ამბობდა: „და ამ ადამიანებს, რომლებსაც სინდისი და პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ჰყოფნით მოუწოდონ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ, პლეხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკას და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ“[2]).

წითელმა არმიამ გმირობის სასწაულები გვიჩვენა. ჰიტლერულმა გერმანიამ, რომელიც ასე ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, ომი უკვე წააგო, ძლიერი წითელი არმიის დარტყმებით გერმანელთა ფაშისტური არმია დამსხვრეული აღმოჩნდა და ახლა თავისი სრული განადგურების წინაშე იმყოფება.

---

[1] დამახასიათებელია ამ მხრივ მუსიკის პროფესორის ე. პროფორსტის 1903 წ. 26 სექტემბრის წერილი არჟანტეილიდან ლ. ტოლსტოისადმი ჩერნიშევსკის სახელგანთქმული რომანის „რა ვაკეთოთ?“-ის გამო. „მე მაქვს ერთი წიგნი, /რომელიც 1892 წლის ახლოს ნიუ-იორკში ერთ ბუკინისტთან ვიყიდე, და ეს წიგნი ჩემთვის — შედევრია... ეს წიგნი — სულის ძლიერებისა და სიდიადის გამოვლენაა, გაბედული ცდა, რომელშიც ჰარმონიულად შეერთდა გრძნობა და ჭეშმარიტი ხელოვნება. არ შემიძლია გამოვთქვა თქვენს წინაშე ის აღტაცება, რომელსაც ეს წიგნი ჩემში იწვევს“. შემდეგ წერილის ავტორი ტოლსტოის სთხოვს შეატყობინოს მას თავისი აზრი ამ ნაწარმოების შესახებ და ცნობები მის ავტორზე. წერილს ის ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „ვერასგზით ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ ამგვარი გაქანების წიგნი 40 წლის განმავლობაში მიჩქმალული იყო“. ტოლსტოის კორესპონდენტს ჰქონდა 1888 წ. ნიუ-იორკში გამოცემული ინგლისური თარგმანი. სხვათა შორის შევნიშნავთ, რომ ცნობილმა ქართველმა ანარქისტმა ვ. ჩერქეზიშვილმა 70-იან წლებში იშოვნა 50 მანეთი და ვინმე ბოჩკარიოვის საშუალებით ელპიდინს გაუგზავნა ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“-ის გამოსაცემად ჟენევაში.

[2] ი. სტალინი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1943 წ. თბილისი, გვ. 28.

ახალი წიგნების განხილვა

ალექსანდრე ქუთათელი

ს. ჩიქოვანის „ჩემი მამული"

სიმონ ჩიქოვანის ახლად გამოსული წიგნის, „ჩემი მამულის" ლეიტმოტივი სამშობლოა, მამულის აწყო, წარსულის და მომავლის სიყვარული. ამ მხრივ წიგნის სათაური გამართლებულია. თუმცა, შიგადაშიგ, ისეთი ლექსებიც შეგხვდებათ, რომლებიც ავტორის პირად სამყაროს, მის ინტიმურ გრძნობებს გვიხატავენ და „მამულის" რკალში თემატიკურად ძნელად თავსდებიან.

თავისი პოეზიის გასაღები თვითონვე აქვს მოცემული ჩიქოვანს სააღსარებო და საპროგრამო ხასიათის ლექსებში: „პირველ თქმაში", პირველ, მეორე და მესამე „მინაწერში", „იქვში" და სხვაგანაც.

ყველასათვის აშკარაა, რომ თეორიები და მსჯელობები პოეზიაზე უფრო ადვილია, ვიდრე მათი განხორციელება. ვერლენი ჰკიცხავდა იმ პოეტებს, რომლებიც „მსჯელობენ და არ კი მღერიან". მიუხედავად ამისა, ვერლენმაც კი დასწერა „Art poetique", რომელშიაც, ბუალოს მსგავსად, თავისი პოეტიკის კანონები, თეორიები ჩამოაყალიბა და პოეტებს ასწავლიდა: მშრალი და მედიდურებით სავსე გონების მბრძანებლობისა, ენამზიანობისა და სიყალბის გაძევებას პოეზიიდან და ნაცვლად ამისა, უშუალო გრძნობის, ოცნების, არა უხეშ და მძაფრი ფერების, არამედ შეუმჩნეველ გადასვლების და ნიუანსების თაყვანისცემას. მერე: რიტმისა და საჭირო სიტყვების დაუღალავ და ოსტატურ შერჩევას, გონებისათვის რითმების დამორჩილებას. რითმებისა, რომლებიც „ესოდენ დიდი და უამრავი ტანჯვის შემცველნი". მაგრამ პოეზიაში, უწინარეს ყოვლისა, ვერლენი მუსიკას მოითხოვდა.

ჩიქოვანიც ცდილა თავისი „პოეტიკის" ჩამოყალიბებას ზემოდ აღნიშნულ სააღსარებო და საპროგრამო ლექსებში. ამ ლექსებში გამოთქმული მოსაზრებანი ჩიქოვანის პოეტურ ძიებათა ჯამს წარმოადგენენ. სიმართლე უნდა ითქვას, — ისინი პოეზიაზე ზოგად მსჯელობებს და თეორიებს იმდენად არ შეიცავენ, რამდენადაც თვით პოეტის მიერ შემოქმედების დროს განცდილ სირთულის და წვალების აღიარებას. ამიტომ ვუწოდე მათ „სააღსარებო" ლექსები. „მესამე მინაწერში" პოეტი ამბობს:

„შემოქმედება სირთულეს ითხოვს,
მხოლოდ გასაგებ ენით ნათქვამი".

„სირთულეში" პოეტი ღრმა აზრს და გრძნობას გულისხმობს, რომელიც გასაგები ენით უნდა იყოს ნათქვამი, ე. ი. მხატვრულად ხორცშესხმული. იგი „პირველ თქმაშიც" ამასვე იმეორებს.

აზრისა და გრძნობის შეერთება და მისი მხატვრული ხორცშესხმა, მარტივი და ადვილი საქმე არ არის და ჩიქოვანსაც, ამ გაგებით, ლექსში ადვილად არ უჯდება. იგი თვითონვე აცხადებს:

„ვერ შევიტყუე სიტყვაში ფიქრი,
ვერ შემოვარტყი ჯავშანი გარეთ"...
„მე სხვა მინდოდა სრულიათ მეთქვა
და სხვას მამღერებს წყეული რითმა".

ეს ყრუანტელის მომგვრელი განცხადებაა. ამ განცხადების აზრს ის გაიგებს, ვისაც ლექსის და სიტყვის დამორჩილების სიძნელესთან ჰქონია საქმე, თუმცა, ჩიქოვანს ხშირად დაუმორჩილებია „წყეული რითმა" იმისათვის, რისიც თქმა სურდა: აზრი ანუ შინაარსი და გრძნობა სათანადო მხატვრულ ფორმაში ჩამოუსხავს. ამიტომ, სავსებით მართებულად ამთავრებს თავის „იქვს":

„და როცა მტრედი იელვებს ცაზე,
მე მოვათავსებ ნიშანში სტრიქონს".

ჩიქოვანს თავგანწირული შრომისმოყვარეობა და შეუნელებელი შემოქმედებითი მუშაობა ახასიათებს. ლიტერატურული მუშაობის კვალი დიდათ შესამჩნევია მის პოეზიაში, იგი დღენიადაგ მტკივნეულად განიცდის თავის პოეტურ საქმიანობას და ასე მგონია: მისი პოეზია, თითქო, მისი ცხოვრების დღიურია. „უფაფუროდ მიჭრის ოცნება ჩემი და უფერული სტრიქონი მოსთქვამს". იგი არ ზოგავს საკუთარ თავს. სააღსარებო ერთ ლექსში „ხანგრევების სურომში", დედას მიმართავს და ასეთ რამესაც კი აშკარად ამბობს:

„სმენა არ მაქვს და გალობას ვბედავ,
მოდი, მაჩუქე ბუხების კარი".

ასეთი აღსარება გრძელდება „მეორე მინაწერშიც":

„ვერ შევუთანხმე ბგერები სურათს,
ვერ შევაერთე ოცნება ორი".

ჩიქოვანს ხედვითი შეგრძნება უფრო აქვს განვითარებული, ვიდრე სმენითი. მას ფერწერა უფრო ეხერხება, ვიდრე მუსიკა. ამიტომ იგი უფრო კარგად ხატავს, ვიდრე იმღერის და გალობს. ამას თვითონვე ამბობს „მეორე მინაწერში".

პოეტს „სურათის" და „გალობის", ანუ მხატვრობის და მუსიკის შეერთების სირთულე სტანჯავს. კარგად ესმის, რომ „სმენით და თვალით გასინჯული" ფენომენის მხატვრული ხორცშესხმა, მეტად ძნელია და უპირატესი.

მის ლექსს ჰარმონიულობა და მელოდიურობა აკლია, მაგრამ მხატვრობა კი არა. იგი ოსტატურად შერჩეულ საღებავს ურთავს ლექსში და სტრიქონს წრფელი გულით გეშავს.

როგორია ჩიქოვანის მხატვრობა?

ჩიქოვანის პეიზაჟი, ფერწერა და პორტრეტი ნასხვრევების და ცალკეული ადგილების, შტრიხების შთაბეჭდილებას სტოვებენ. მისი პოეზია, ხშირად, სიტყვიერი გადმოცემაა იმ შთაბეჭდილებისა, რომელსაც ჩვენზე სურათი, პორტრეტი ან პეიზაჟი მოახდენდა. მისი პოეზია ადამიანს, თვითეულ საგანს და მოვლენას მხატვრობის მეშვეობით გვაცნობს ან, როგორც თეოფილ გოტიე, იტყოდა ხოლმე: „ეს იყო პარკი (ბაღი), ვატოს გემოვნების მიხედვით მოცემული". (Poesies I, 208).

აი მაგალითად, როგორ გვიხატავს ჩიქოვანი ბელადის პორტრეტს „გორის ციხეში":

„ბუხარზე იდგა კვამლი უვნებლად,
როგორც ჩიბუხზე სიცოცხლის სუნთქვა"...

აქ აღებულია ერთი დეტალი ყველასათვის ნაცნობი პორტრეტიდან ბელადისა: „ჩიბუხი და ზედ მდგარი კვამლი". ამ დეტალის მიხედვით პოეტი იძლევა, ჩვენთვის ნაცნობ, მოძრაობაში გააზრებულ პორტრეტს. ბუხარზე მდგარი კვამლი შედარებულია ჩიბუხზე მდგარ კვამლთან, ხოლო ბელადის ჩიბუხზე მდგარი კვამლი — სიცოცხლის სუნთქვასთან. ეს რთული, სამი ელემენტისაგან შემდგარი, გაშლილი მეტაფორაა, უკვე სახედ ქცეული. ასეთი სახეების სისტემა ჩიქოვანისათვის დამახასიათებელია. იგი მოხდენილად ხატავს სურათს და პორტრეტს. ავიღოთ მაგალითისათვის დინამიური სურათი, სამამულო ომში „მეომრის სიკვდილისა":

მებრძოლი იერიშის დროს დაჭრეს. იგი შეირყა, დაეცა, მაგრამ წამოყენება ისურვა, რათა არა დაჩოქილი, არამედ ფეხზე მდგარი შეხვედროდა სიკვდილს.

პატრიოტული ძახილის შემდეგ, მეომარმა ხელყუმბარა სტყორცნა მტერს

„კიდევ იმსხვერპლა მამულის მტერი
და ფეხზე მდგარი დაუხვდა სიკვდილს".

აქ კარგ პოეტურ და, ამავე დროს, დაუჯერებელ გამოგონებასთან გვაქვს საქმე. მეომრის სიკვდილი ლაკონიური, ერთი ხაზის ოსტატით მოცემული სურათია და იგი ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს.

ხშირად ჩიქოვანი ერთი დეტალის გამოყენებით ხატავს პორტრეტს, ხან ცოცხალს და კონკრეტულს, ხან კიდევ განზოგადოებულს, ირეალურს და სიმბოლიურს. მაგალითად „ქართველის დედაში" განზოგადოებული სახეა დედის.

მშობელი დედის სახეც კი არა კონკრეტულია, არამედ განყენებული და, ალბათ იმიტომ, რომ შვილს დედის სახე არ უხატავს:

„აი, იქვეა შენი ოქროს თმა არი,
კოლხურ კერაზე აძდგარი ალი!
ეგებ ვაზია შენი ქამარი,
ხეს რომ ეხვევა ცოცხალი კვამლი!"

სერაფიტას პორტრეტი ხომ მთლად მოგონილია, ფანტასტიკური და სიმბოლიური, ძველი საქართველოს უკვდავების მარად უქრობი და კდემამოსილი სულის გამომხატველი:

„შენ ხარ ძველი საქართველო,
შენ ხარ ჩემი ხვაშიადი"...
„სილამაზე მოვიტანე სამარით,
წელზე გერტყა ვაზის წნული ქამარი"...

გამონაკლისს წარმოადგენს პოეტის გარდაცვლილი დის სახე.

ჩიქოვანის პოეზიაში განდევნილია ეროტიზმი, მიჯნურობა. ის გაცილებით ცოცხალ, კონკრეტულ პორტრეტებს ხატავს მამაკაცისა, ვიდრე ქალთა, მაგალითად „მეთევზისა", რომელიც მტკვარში დაჭერილ თევზით დაიარება ქალაქში და ეძებს სახლს, სადაც ქეიფია, რომ ქართულ სუფრას ცოცხალი მიართვას, გადააყაროს და იერი შემატოს, რათა მოქეიფეთაგან საჩუქარი მიიღოს და თანაც მათთან დრო გაატაროს.

„მიაკვლევს ქეიფს და როგორც ქორი
შევარდება და წამოშლის სუფრას,
უცებ გახდება სტუმრების სწორი,
მასპინძლის თხოვნით ჭიანურს უკრავს"...

და „როს კინტოს შარვლის მსგავსი ღრუბელი წავა, გაჰყვება გადმოსულ ქარებს", — მაშინ თბილისში რიჟრაჟიც მოაღწევს და მეთევზე:

„შინ დაბრუნდება დაღლილ ქარივით,
(უცბათ ოჯახში ქეიფით მთვრალი),
შეაღებს კარს და მეგობარივით
ისევ ეძახის ფხიზელი მტკვარი".

ამ ლექსში არა მარტო მეთევზისა და ძველი მოქალაქის ხასიათი, შნო და ლაზათია დაჭერილი, არამედ ძველი თბილისის სახე და ქართული ქეიფის იერიც. სწორედ ამიტომ უძღვნა ეს ლექსი ავტორმა ძველი თბილისის, მოქალაქის და კინტოს იერისა და ხასიათის მცოდნეს და მის სწორუპოვარ ხატვარს ლადო გუდიაშვილს და თუ თეოფილ გოტიე ამბობდა: „ეს იყო პარკი ვატოს გემოვნების მიხედვით მოცემული", ჩიქოვანს შეუძლია თქვას: ეს არის პორტრეტი ლადო გუდიაშვილის გემოვნების მიხედვით დახატული. მეთევზე მძაფრად გამოკვეთილი იმპრესიონისტული პორტრეტია. მეგრელი კოლმეურნე ვაჟკაცი და მეგრელი ცირა (ქალიშვილი) კი, რეალისტურ საღებავებით და ეროტიკით შეზავებული: „აივანზეა, სოფლის მებაღე და ბატის ფრთებით ინიავებს ახალოხს".

აღსანიშნავია, აგრეთვე, საშობაო ნაძვის ხეზე დაკიდებული თოვლის ბაბუა. იგი სიმბოლიური სახეა ზამთრისა. თოვლის ბაბუა ნამდვილ ბაბუას აგონებს ავტორს. ეს გარემოება ორიგინალურ პოეტურ წარმოსახვას იწვევს პოეტში და იგი ახლა ნამდვილ რეალისტურ პორტრეტს ხატავს:

„ბრტყელი ფიცრით და თხილამურით
მონდომებული ბილიკს ტკეპნიდა"...

იმპრესიონისტული ერთი შტრიხისა და მხატვრული შედარების გარდა: „საღამო ჟამზე ხმა სალამურის აბრეშუმივით წვერზე ეკიდა", პორტრეტი უთუოდ რეალისტურია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ მხრივ პოეტის გარდაცვლილი დისა და მამის პორტრეტები, ინტიმური გრძნობით, სინაზით, მწუხარებით და დაუვიწყარი სახეებითა და მხატვრული შედარებებით შესრულებული. დისა და მამის პორტრეტში ორგვარი საღებავია შერჩეული: რეალისტური და იმპრესიონისტული. ეს ორი ტონი ერთმანეთს ეჯიბრება; გზადაგზა კი სურათი ფანტასტიკურ და მისტიკურ იერს ღებულობს:

„დასიცხულ წყნეთში დნებოდი ტახტზე,
როგორც ნაჭერი ღრუბლის მცირედი".

ამ შედარების შემდეგ, მხატვრული სახე თანდათან ძლიერდება:

„შენ გეცემოდა ცისკარი თვალზე,
გათენების და სუნთქვის იმედი"...
„მაგრამ სიკვდილმა შუბლზე გაკოცა
და ღრუბლივით სიცხით დაიწვი".

ამას დაუვიწყარი, გულის მომკვლელი და მეტად ორიგინალური თქმა და მხატვრული შედარება მოსდევს:

„მათხოვარივით გაჩნდა სიკვდილი
და ახალგაზრდა სიცოცხლე გთხოვა".

სიცოცხლის და გათენების იმედი — ცისკარი, დაისმა შთანთქა, და:

„ეხლა საფლავთან არავინ არის —
მეგრული მოთქმით არავინ სტირის"...

ამ რეალისტური მანერით დაწერილი სტრიქონების შემდეგ იწყება დიდი საიდუმლოების, — სიკვდილის გამო შეშინებული და შეშფოთებული ადამიანის სულის მისტიკურ და პირველყოფილი რელიგიის წიაღიდან შობილი მითიური ხილვა:

„მაგრამ მგონია როგორც ხარონი,
მამა შეგხვდება მდინარის ახლოს,
გაიცდებიან თვალთა წყარონი,
რომ ამნაირად გამხდარი გნახონ,
ნავი არა ჰყავს ალბათ მამილოს,
აგიტაცებს და გაგიყვანს წყალში,
შენზე ტირილით ჩოხას დაილბობს,
მდინარის პირად ნატერფალს წაშლის".

ავტორი მდინარის გადმოღმა რჩება, ამ ქვეყნიურ სინამდვილეში, მაგრამ ნუგეშის გარეშე, რადგან დიდ მწუხარებას ნუგეში ვერ შველის. ეს უაღრესად კაეშნიანი ლექსია. ავტორის სევდა და მწუხარება, მკითხველის გულსაც ნაღველით ავსებს და სამუდამოდ ამახსოვრებს ავადმყოფი და შემდეგ გარდაცვლილი ასულის გატანჯულ სახეს.

საყვარელი არსების სიკვდილის გამო შეშფოთებული სულის მისტიკური ჭვრეტა და ხილვა „მამის ჩვენებაშიც" გრძელდება.

ავტორი უმალვე იწყებს უცნაური, გაუგონარი და ფანტასტიკური ამბავის თხრობას:

„ვზივარ ღამეა, სული იღლება,
გარეთ წვიმაა, მიდამოს ლამავს,
ქარი დაჰკრავს და კარი იღება
და ჩემს ოთახში შემოდის მამა..."

ეს დიდი ხნის წინად გარდაცვლილი მამა შემოდის თავისი შვილის — პოეტის ოთახში, წვიმისაგან დასველებული და ჩოხადამბალი. ეს დაუჯერებელი ამბავი და ფანტასმაგორია, რომელიც შეიძლება ადამიანს მხოლოდ დაესიზმროს, მკითხველს აკრთობს. მაგრამ პოეტი როდი შველის მკითხველს. იგი შენიშნავს:

„სიზმარი არის, თუ დავიღალე".

ეს ორჭოფული განცხადება მკითხველს არწმუნებს, რომ ავტორი სიზმარს უფრო გამორიცხავს, ვიდრე სინამდვილეს. შვილი დამშვიდებით ეკითხება მამას, თითქოს გუშინს აქეთ არ ენახოს:

„მამა სად იყავ, სად გადიღამე,
შენ ახალოხიც არა გაქვს მშრალი?"

მერე აგვიწერს მამის პორტრეტს, მეტად რეალურად და ისევ დამშვიდებით.

მამა მიუგებს:

„შენ დას დავეძებ, გარეთ დავძრწივარ,
სად არის ბავშვი, არ გამიცვით!
. . . .
საით გაუშვი, თუ აქვს სათბური,
არ მოეწყოს გზაში ავდარი".

შვილზე ფიქრით დამწუხრებულ, გლოვისაგან შეშფოთებულ მოხუც მამას პოეტი ისევ ჰკითხავს და ეუბნება:

„მამა, სად იყავ, სიდან ჩამოდი,
მეგონა გზაში შემოგხვდებოდი,
ჩოხა გაიშრე, დარჩი ამაღამ,
ნარდი ვაგოროთ, შევექცეთ ვახშამს,
ნუ იცქირები აგრე ამაყად,
და ნუ დამიშლი მაგიდის გაშლას".

ეს დაუჯერებელი და სისხლის-გამყინავი ამბავი ასე გრძელდება ბოლომდე. ფანტასტიკა, არა-რეალური ამბავი და რეალობა ერთმანეთს სცვლიან და მკითხველი მხოლოდ ბოლოს შეიტყობს, რომ ყოველივე ეს სიზმარი იყო. თავის ლექსს — პოემას ავტორი ასე ამთავრებს:

„მაგრამ ნაწყენი მშორდება მამა,
მესმის წვეთების ნელი წკარუნი,
ქუჩუნა წვიმა მიდამოს ლამავს
და მშორდებიან სიზმრის წყარონი".

ასეთია ეს შესანიშნავი პოემა, რომელიც „დის დაკარგვის" მსგავსად დიდ ეფექტს ახდენს მკითხველზე. ეს ეფექტი ორი გარემოებით არის გამოწვეული: პოეტური ხერხის და პოეტური ხედვის თავისებურებით. პოეტური ხერხი, ამ შემთხვევაში, მდგომარეობს: სიუჟეტის საერთო ფანტასტიკურ არარეალობასა და რეალურ ზოგიერთ მოვლენათა შორის არსებულ კონტრასტში. ჩიქოვანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი დაუჯერებლად და მოხდენილად იყენებს ამ ხერხს, რომელსაც ზოგთა ხელში ტრივიალობამდე მივყავართ. მაგრამ მარტო ამ ხერხით შეუძლებელი იქნებოდა პოემის გამარჯვება. მთავარი მაინც პოეტური ხედვაა, რომლის წყალობით მამის კერძობითი სახე ჩიქოვანს განზოგადოებამდე აჰყავს.

წვიმა-ავდარით დასველებული, ჩოხიანი მოხუცი სოფლიდან ქალაქში ჩამოდის და ახალ დროების კვალობაზე განსწავლულ და ახალ სამყაროსთან ზიარებულ შვილის ბინაში შედის. იგი ოჯახის რჩენით, შრომით და ოჯახისათვის გარჯა-ჯაფით არის დაღლილი და თავისი ასულის—სტუდენტ ქალის გარდაცვალების გამო დამწუხრებული. დადუმებული და მწუხარე სახით ჩერდება იგი შვილის წინაშე, ჯერ კიდევ ბრგე და ახოვანი. წვიმა-ავდარში ნამგზავრს კოლხიდის ქარი, თითქო თან შემოჰყვა. იგი ჯდება, ჩვეულ ხველას მოჰყვება, ბინას თვალს შემოავლებს და, ოდიშის ჩინებულთა ზრდილობისა და თავაზისამებრ, რძალს სიყვარულით მოიკითხავს. მერე თავისი გარდაცვლილი ქალიშვილი მოაგონდება, თვალს დახამხამებს, მდუღარე ცრემლებს დაღვრის და შვილთან საუბარს იწყებს, ვინ? არა რეალური, არამედ ირეალური მამის აჩრდილი. მისი ბრგე შესახედაობა და ახოვნება, ქართული იერი და ჩაცმულობა, წვიმა-ავდარში გაწუწული ჩოხა-ახალოხი, ცრემლით დასველებული ჭაღარა წვერულვაში, მეგრული შეტირილი, წარმართული ჩემშინა, ადათების და ზნე-ჩვეულებათა ჯიუტური დაცვა და სიკერპე, ყოველივე ეს, თითქო გარდასულ თაობათა ხასიათის განზოგადოებას წარმოადგენს. პოეტის მამა კონკრეტ სახეს კარგავს და ქართველი კაცის ზოგად სახედ იქცევა. იგი წარსული საქართველოს ხატია. თითქო ყოველივე ეს პოემის ავტორის პოეტური ხედვის წყალობით ხდება და დიდ ეფექტს ახდენს მკითხველზე, რომელსაც „მამის ჩვენება" არასოდეს არ დაავიწყდება. მამის სახე ღრმად იჭრება ჩვენს სულსა და გულში. შვილის გამო დამწუხრებული მოხუცი მამა პოეტისა, თითქო ჩვენი მამაც არის.

ზოგიერთ ლექსში ჩიქოვანი თავისი დედააზრის სიმბოლიურ და მხატვრულ დასაბუთებას იძლევა. ასე, მაგალითად, ლექსში „ვინა სთქვა" ის მოსაზრებაა გამოთქმული, რომ საქართველო, თუ მის ბუნებას და ისტორიულ ფაქტებს დააკვირდებით, — პატარა კი არა, „უსასრულობის შემცველი მხარეა". შეხედეთ ცისკენ აღმართულ ამ მაღალ მთებს, რომელნიც გოლიათებივით საქართველოს გარსშემორტყმიან და უსაზღვროების შემცველი სივრცე და დროებით ჩამდგარი გრიგალი შიგ მოუმწყვდევიათ. გაზომეთ ჩვენი ხალხის გმირობა, მისი გაფრენილი მერნის მიერ განვლილი გზა და სივრცე, მის მიერ ძლეული დრო და ჟამი, — და მაშინ, ცად ატყორცნილი მაღალი მთები გაიწევიან:

„და გაიხსნება სამშობლო ჩვენი,
უსასრულობის შემცველი მხარე".

ამრიგად, საქართველოს ბუნების დახატვით, მისი ისტორიის და ისტორიული ფაქტების აღწერით, პოეტი იმ მოსაზრებას ასაბუთებს, რომ მისი მამული პატარა კი არა, არამედ „უსასრულობის შემცველი მხარეა".

პოეტის მოსაზრების ასეთივე სიმბოლიურ გამოხატვას ვპოულობთ ჩვენ „ბაბუაში", „ნიჟარის საფერფლეში", თავსაფარში", „მერცხლის ბუდეში", „მელევარე შენობაში", „ვაჟა-ფშაველას ბუხართან", „ძველ საათში" და „თოვლში". ამ სიუჟეტიან ლექსებში, პატარა პოემებში რეალობიდან აღებული თითქოს სრულიად უმნიშვნელო საგანი და მოვლენა სიმბოლიურ ხატად (სახედ) არის ქცეული. იგი ავტორის სიმბოლიურ აზრს ატარებს. აღებული საგნისა და მოვლენისათვის დამახასიათებელი თვისებების, ნიშნების და მისი გარემოცვის აღწერის და დახატვის მეშვეობით, ეს ხატი ანუ სახე თანდათან აშკარავდება და იხსნება ლექსში. ამ მეთოდით დაწერილი, ზემოდ ჩამოთვლილი ლექსები — პოემები უკეთესთაგანი არიან ჩიქოვანის წიგნში.

ჩიქოვანი ერთი კონკრეტული აზრის, იდეის და თემის გამოკვეთისათვის აგროვებს ყველაფერს, ყველაფერს მას ანდომებს და ახმარს. პოეტური აზრის უცნაურობა, სახეების, ალეგორიების და სიმბოლოების ბუნდოვანება და გაუგებრობა თანდათან ქრება შემოქმედების გასწვრივ, და მის ადგილს გასაგები პოეტური აზრი და პოეტური სახე იჭერს, — ისე როგორც სიმფონიის ერთ მთლიან ჰარმონიაში ნელნელა ქრებიან ხოლმე ყველა დისონანსები და, ბოლოს, ხელსახები ხდება მთავარი ჰანგი და ლეიტმოტივი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გერონტი ქიქოძე

ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან

როცა ადამიანი ძველი მცხეთის სასაფლაოს ათვალიერებს, ამ უზარმაზარ ნეკროპოლს, რომელიც სამთავროს ეკლესიასთან იწყება და თითქმის ბებრის ციხემდე აღწევს, შეუძლებელია ის მისი პირველი გამთხრელის ბაიერნის სიტყვებს არ დაეთანხმოს, მცხეთა დიდი და მდიდარი ქალაქი ყოფილა, კომფორტის მოყვარული და მეომარი ხალხით დასახლებულიო. არქაული და ელინისტურ-რომაული ეპოქის მცხეთელ ქალებს რომ კომფორტი ჰყვარებიათ, ამას მოწმობს ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს სამკაულები, მშვენიერი სამაჯურები და ყელსაბამები, საყურეები და ქინძისთავები, სარტყლები და თავსაკრავები, ბოლოს, კლასიკური გემები, რომლებთა რიცხვმა, უკანასკნელი წლების გათხრების დროს, თუ არ ვცდებით ოთხმოცს მიაღწია ნახევარი ჰექტარის ფართობზე; ხოლო ძველი მცხეთელი მამაკაცების მხედრულ სულს მათი საომარი იარაღის სიუხვე ამჟღავნებს, მათი ბრინჯაოს და რკინის შუბები, მახვილები და ორლესული ხანჯლები; აგრეთვე მოწმობს მათი გაპობილი თავის ქალები, რომელნიც უფრო ხშირად გვხვდებიან, როცა მიცვალებულთა ცალკე კი არ მარხიან, არამედ ჯგუფად, ერთგვარ არქაულ ძმათა სასაფლაოში. ბაიერის ეგონა, ეს ჯგუფური სამარხები ამტკიცებენ, რომ ძველ იბერიელებს ძალიან მკაცრი ღმერთები ჰყოლიათ და მათ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა მასობრივად უწარმოებიათო. ნამდვილად ისინი მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს ვაჟკაცური ერთსულოვნება გამოუჩენიათ შეტევასა და თავდაცვაში.

რით აიხსნება, რომ სამთავროს არქეოლოგიური გათხრები ასეთი ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ მათი ინვენტარი აშუქებს საქართველოს პრეისტორიის და ისტორიის ბნელ საუკუნეებს, მოყოლებული თითქმის ათასხუთასი წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე? მცხეთა რომ ივერიის პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი იყო ელინისტურ და რომაულ ეპოქაში, ეს უდაოდ მტკიცდება ჩვენი ისტორიული გადმოცემებით და წერილობითი წყაროებით, აგრეთვე ბერძენი და რომაელი ავტორების მოწმობით. უფრო ძნელი დასამტკიცებელია, რომ პრეისტორიულ ეპოქაშიც, რომელმაც სამთავროს სამარხებში ასეთი მდიდარი თიხის ჭურჭლის და ბრინჯაოს სამკაულის თუ საჭურვლის ინვენტარი დაგვიტოვა, მცხეთის ძირითადი მოსახლეობა იბერიელებისაგან შესდგებოდა. ამის დასამტკიცებლად, ურყევი ისტორიული საბუთების უქონლობის გამო, საჭიროა რთული ანტროპოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება ჩონჩხებისა და თავის ქალების მიმართ, რომელთაც მიწის ქვეშ, სძინავთ სამი ათასი წლის განმავლობაში. ეს თითქმის უიმედო საქმეა.

ასეა თუ ისე, მცხეთა ყოველთვის დიდი სააღებმიცემო ცენტრი უნდა ყოფილიყო, იმ ბინდბუნდით მოცულ პერიოდშიც, საიდანაც ჩვენ ისტორიული ცნობები არ გვაქვს, და საქართველოს ისტორიის გარიჟრაჟზეც, როდესაც იბერიელები, სამხრეთიდან მტკვრის ხეობაში შემოჭრილნი თუ ძველთაგან აქ ბინადარნი, ამ ტერიტორიის ბაღვენახებით ფარავდნენ, კრამიტის სახურავიანი ქვის შენობებითა, ქულბაქებითა და ფორუმებით ამკობდნენ და მტკიცე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ჰქმნიდნენ. მაგრამ დიდ იბერიელთა ტომს, რომელიც თითქო ორჯერ გამოფხიზლდა მრავალსაუკუნოვანი ძილისაგან, ერთხელ მაშინ, როდესაც ის პართიელი არშაკიდების სამეფოს გამოეყო და თავისი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო დააარსა, ხოლო მეორეჯერ, როდესაც ქრისტიანობა მიიღო, თავის პირველ სატახტო ქალაქში არასოდეს არ უწარმოებია ვიწრო განკერძოების პოლიტიკა; და მცხეთა იბერიელთა ეროვნული თვითგამორკვევის შემდეგაც, ისეთ დიდ საერთაშორისო ცენტრად დარჩა, როგორიც მანამდე იყო.

დიდათ დამახასიათებელია ძველი ქართული ქრონიკების ცნობა, რომ მცხეთაში თავშესაფარი ჰპოვეს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ ოტებულმა ებრაელებმაც, რომელნიც მცხეთის ხელისუფლებამ არაგვის პირას დაასახლა, „წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი", ვესპასიანე იმპერატორის დროს გამოქცეულმა ებრაელებმაც, რომელთაც იქვე ჰპოვეს თავშესაფარი და სპარსეთის მეფის ქაიხოსროსაგან ოტებულმა ბუნთურქებმაც, რომელნიც მცხეთის დასავლეთით დასახლდნენ, მათ მიერ მტკიცედ შემოზღუდულ სარკინეში. საფიქრებელია, რომ მცხეთის აყვავების პერიოდში იქ სხვა ერებსაც ექნებოდათ თავიანთი მეტად თუ ნაკლებად განკერძოებული უბნები.

მაგრამ თუნდაც მცხეთის ხელისუფალთ უცხოელების მიმართ ნაკლებ შემწყნარებელი პოლიტიკა ეწარმოებინათ, ეს საუცხოვო ადგილი, სადაც არაგვის მდვრიე ტალღები მტკვრის მომწვანო ტალღებს უერთდება, მაინც ქარავნების და დიდვაჭრების შესახვედრ ადგილად გადაიქცეოდა. სად უნდა დაესვენათ მიდიიდან ან პართიიდან პონტოს ზღვისკენ მიმავალ ქარავნებს თუ არა მცხეთაში და სად უნდა დაეწყოთ სკვითიიდან ან სარმატიიდან მომავალ ვაჭრებს თავიანთი ბეწვეულობა თუ არ იმავე მცხეთაში? და რა ენა უნდა ყოფილიყო ხალხური იბერიული ენის გვერდით გავრცელებული ამ დიდ კომერციულ ცენტრში თუ არ დამწერლობის და ლიტერატურის მქონე საერთაშორისო ენები ბერძნული, ფალაური, არამეული?

მაგრამ საკმაო არ არის, რომ ესა თუ ის ქალაქი ერმრავალი და მდიდარი იყოს, რათა მისი ნეკროპოლიც მდიდარი აღმოჩნდეს. საჭიროა აგრეთვე ცოცხალ თაობებს სწამდეთ, რომ მიცვალებულნი ამქვეყნიური ცხოვრების მსგავს არსებობას განაგრძობენ საიქიოში, რომ მათ ის სამკაული და ჭურჭელ-იარაღი უნდა იქონიონ, რომელიც ამ ქვეყანაში უყვარდათ ან სჭირდებოდათ. ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ მარადისობის ეს შეგრძნობა, განსხვავებული როგორც ქრისტიანული სპირიტუალიზმის შეგნებისაგან, რომელიც მიცვალებულის სულისთვის ზედმეტად სთვლის ყოველ უტილიტარულ ნივთსა და სამკაულს, ისე მატერიალისტური რწმენისაგან, რომელსაც სულის დამოუკიდებელი არსებობა არ სწამს. ბოლოს, საჭიროა, რომ ნეკროპოლის გაძარცვა ადვილი არ აღმოჩნდეს, როდესაც ხალხს რელიგიური სკეპტიციზმი და ნიჰილიზმი ეუფლება.

ცნობილია, რომ ძველი ეგვიპტის სატახტო ქალაქ თებეში ეგრეთწოდებულ მიცვალებულთა ქალაქის დაცვას უფრო მრავალრიცხოვანი და ფხიზელი პოლიცია სჭირდებოდა, ვიდრე ცოცხალთა ქალაქისას. როდესაც რელიგიური და ზნეობრივი ტრადიციები იმდენად შეირყა, რომ სამარხების ძარცვამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ეგვიპტელი მოგვები იძულებული გახდნენ თებეს ნეკროპოლიდან ოცდაათზე მეტი ფარაონის მუმია ამოეღოთ და ფარულად ლიბიის უდაბნოს გამოქვაბულში დაემარხათ, ხოლო ამ თავისებური დამკრძალავი პროცესის მონაწილე მონები დაეხოცათ. მცხეთელ მოგვებს, რომელნიც, როგორც ეტყობა, მათთვის საგანგებოდ განკუთვნილ უბანში ცხოვრობდნენ, ასეთი რაჩვეულებრივი ღონისძიების მიღება არ დასჭირებიათ. მართალია, როგორც არმაზის, ისე განსაკუთრებით სამთავროს სასაფლაოზე მრავალი სარკოფაგი და სამარხი გაძარცულია, მაგრამ საერთოდ არმაზის და სარკინეთის კლდეებს ისინი უკეთ დაუცავს, ვიდრე პოლიციას და სამღვდელოებას შეეძლო დაეცვათ.

საქმე ისაა, რომ რადგან მცხეთის ორივე ნეკროპოლი ქედების ძირშია მოთავსებული, ნიაღვრების მიერ მოზიდულ მიწას, ქვიშას და ლორდს მათი ნიადაგი თანდათან აუმაღლებია, ისე რომ მრავალი საფლავი, რომელიც თავის დროზე მიწის ზედაპირთან ახლო ყოფილა, დღეს საკმაოდ ღრმა ქვედაფენაშია მოქცეული. ეს განსაკუთრებით კარგად სჩანს სამთავროს სასაფლაოზე, რომელიც დაახლოვებით ორჯერ უფრო ხნიერი უნდა იყოს ვიდრე არმაზის პიტიახშების სასაფლაო და უფრო ტიტველი და, მაშასადამე, უფრო ადვილად ჩამოსარეცხი ქედის გასწვრივაა მოთავსებული. ამრიგად, სამთავროში [illegible] მიცვალებულთა ქალაქის სამი სართული, რომლის გაცნობა ნათელს ჰფენს ჩვენი შორეული წინაპრების მატერიალური კულტურის პროგრესს და რწმენის ევოლუციას დაახლოვებით ორი ათასი წლის მანძილზე ქრისტიანობის დამყარებამდე საქართველოში.

ქონებრივად მეტად ღარიბი, ხოლო აზროვნებით მეტად პრიმიტიული უნდა ყოფილიყო ის საზოგადოება, რომელსაც თავისი მიცვალებულები უკუბოთ პირდაპირ მიწაში დაუმარხავს, ხშირად მზისკენ პირმობრუნებული, და მისთვის თავთან უბრალო თიხის ხონჩა დაუდგამს, ხოლო ფეხებთან თიხისავე ღვინის ფიალა. ასეთია სამთავროს უძველესი სამარხები. ნეკროპოლის მეორე სართულში ასასვლელად ჩვენს წინაპრებს რამდენიმე საუკუნის ქონებრივი და ზნეობრივი პროგრესი დასჭირებიათ. მათ თავიანთ მიცვალებულთათვის უფრო მკვიდრი ბინის აგება დაუწყიათ რიყის ქვისა, კრამიტისა ან კიდევ გვერდზე მწოლარე ან მოპირქვავებული დიდი ქვევრისაგან. მიცვალებულის პოზაც სხვადასხვანაირია, ხანდახან ის მოკრუნჩხულია, ხანდახან ერთგვარი დაფიქრების პოზაში ზის.

ძალიან ხშირად ცოლქმარი ერთად მარხია. ერთ ვეებერთელა კამეჩის თეძოიან მამაკაცს, რომელსაც შეიძლება სავაჭროდ დარიალის გზით სკვითიაში ან სარმატიაში უხდებოდა მგზავრობა ან იქიდან შემოსეული მტრის რაზმებისაგან არაგვის ხეობის დაცვა ევალებოდა, თავის გვერდით უნაზესი ქალი დაუმარხვინებია: უმისოთ მას საიქიო, ალბათ, მეტად მოსაწყენი ეჩვენებოდა. მეორე საფლავში პატარა მწყემსისთვის თან ძვლის სალამური და საყვარელი ხარისთავი ჩაუტანებიათ; მესამეში კვერის ნაშთი აღმოჩნდა. ყოველივე ეს სამეურნეო ცხოვრების წინსვლას და უფრო ფაქიზი გრძნობების წარმოშობას გულისხმობს, გამოსვლას ბარბაროსობის დაბალი სტადიიდან. დასაფლავების სხვადასხვა წესი იმასვე უნდა მოწმობდეს, რომ მცხეთის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი უნდა ყოფილიყო თვით წინაელინისტურ პერიოდში, როდესაც ჩვენს წინაპრებს კულტურული და კომერციული კავშირი ექნებოდათ ქვეით [illegible] ქალდეასთან, სადაც აგურის, კრამიტის და თიხის ჭურჭლის მომზადება და გამოყენება განსაკუთრებით გავრცელებული იყო.

ელინისტურ და რომაულ ეპოქაში იბერიელები, ისევე როგორც მათი ახლო მონათესავე კოლხები, საბოლოოდ იმდროინდელი მაღალკულტურიანი ერების წრეში შედიან. ამის დამადასტურებელი ცნობები უხვად მოიპოვება ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების ნაწერებში. და ამ ცნობების საუცხოვო შემოწმებას ქართულ არქეოლოგების მიერ წარმოებული გათხრები და კვლევაძიებანი წარმოადგენენ. საკმაოა კაცმა უფლისციხის დარბაზები დაათვალიეროს ან არმაზის რომაული აბანო, რათა სრულებით დარწმუნდეს სტრაბონის ცნობის სისწორეში, რომ იბერია ძლიერ მდიდარი და დასახლებული ქვეყანაა, რასაც ზღუდეშემოვლებული ქალაქების და სოფლების სიმრავლე, კრამიტით დახურული და არქიტექტურული წესით აგებული შენობები და კარგად მოწყობილი ბაზრები და ქარვასლები გვიმტკიცებსო.

პომპეუსის ცხოვრების აღწერაში პლუტარქე ამბობს, იბერთა მეფემ პომპეუსს საწოლი, მაგიდა და ტახტი მიართვა, ყოველივე ბაჯაღლო ოქროსაგან გაკეთებული, და სთხოვა, მიიღე როგორც ჩემი მეგობრობის საწინდარიო; პომპეუსმა ყოველივე ეს კვესტორებს გადასცა სახელმწიფო სალაროში შესატანად. ეს ცნობა დამახასიათებელია არა მარტო იბერიის მეფის სიმდიდრისა, არამედ მისი ფსიქოლოგიისათვისაც. არტაგ მეფე ანტირომაული კოალიციის წევრი იყო, ამ კოალიციას პონტის მეფე მიტრიდატ ევპატორი და სომხეთის მეფე ტიგრან დიდი მეთაურობდნენ. პომპეუსმა სამიოდე წლის განმავლობაში სასტიკად დაამარცხა ორივე თავისი მთავარი მოწინააღმდეგე; სომხეთის მეფეს მან კაპადოკია, კილიკია, სირია, ფინიკია და ქურთისტანი ჩამოართვა, ხოლო თვით ტიგრანი იძულებული გახადა მის წინაშე გამოცხადებული, მუხლებზე დაცემულიყო და მისთვის მორჩილების ნიშნად თავისი ცხენი, მახვილი და გვირგვინი გადაეცა. მხოლოდ ამის შემდეგ შეირიგა იგი რომის პროკონსულმა. რაც შეეხება მიტრიდატს, პომპეუსმა საერთოდ უარი სთქვა მასთან რაიმე შეთანხმებაზე, და რომის რესპუბლიკის ეს შეურიგებელი მტერი, ბოლოს, იძულებული გახდა თავი მოეწამლა პანტიკაპეაში.

იბერიის სატახტო ქალაქს პომპეუსის ჯარი, სომხეთის და ალბანიის დამორჩილების შემდეგ, მიადგა აღმოსავლეთის მხრიდან. როგორც ამჟამად წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ამტკიცებს, ამ მხრიდან მცხეთას დიდი ციხე იცავდა, თლილი ქვიდან ნაგები გალავნითა, კოშკებითა და პალატებით. ეს როგორც ეტყობა, მთავარი ნაწილი უნდა იყოს იმ უზარმაზარი ციხესიმაგრისა, რომელიც, ალბათ, მთელი არმაზის ქედს გაჰყვებოდა. ის ერთ ძველ ქართულ მატიანეში მრავლობითს რიცხვში იხსენიება: „არმაზნი". ეს ციხე იბერიის დედაქალაქს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან იცავდა და პირდაპირ გაჰყურებდა სევსამორის ე. ი. წიწამურის სიმაგრეს, რომელიც ჩრდილოეთიდან მომავალ გზას ჰკეტავდა.

რომაელმა მხედართმთავარმა ადვილად აიღო არმაზის ციხე. არტაგ მეფემ ის უბრძოლველად დასცალა, მტკვარზე გადავიდა, ხიდი დასწვა და თავისი ჯარითურთ ტყიან მთებს შეაფარა თავი, აქედან მან ბრძოლა განაგრძო რომაელების ჯარის წინააღმდეგ. და იბერიელების მედგარმა წინააღმდეგობამ, მათი მთიანი ტერიტორიის შეუვალობამ პომპეუსი იძულებული გახადა მეტი ზომიერება გამოეჩინა არტაგ მეფის მიმართ, ვიდრე მასზე უფრო ძლიერი მფლობელების—ტიგრან დიდისა და მიტრიდატ ევპატორის მიმართ გამოიჩინა. დიდათ დამახასიათებელია ისიც, რომ არც შემდეგდროინდელი რომაელი მბრძანებლები — ვესპასიანე და ადრიანე იმპერატორები თაკილობდნენ იბერიელი ერისა და მეფეებისთვის თავიანთი მეგობრები ეწოდებინათ.

* * *

ჩვენ გვგონია, რომ არსად არ შეიძლება იბერიელი ერის ფსიქოლოგიის გაცნობა ისე კარგად, როგორც მცხეთაში, სადაც ის პირველად ჩამოყალიბდა ბრძოლისა და შემოქმედების პროცესში. დახედეთ იბერიელი პიტიახშების პორტრეტებს, რომელნიც [illegible] გემებზეა ამოჭრილი, ყველა ამ [illegible], ზევას და [illegible] პროფილებს და [illegible], რომ მათში [illegible] უფროსად [illegible] ერთსა და იმავე დროს. [illegible] ლი გასაგებია: ამ ეპოქის იბერიელები ჯერ კიდევ სავსებით გამოსული არ იყვნენ გვაროვნული წესწყობილებიდან, ხანგრძლივ საქალაქო კულტურას ისინი ჯერ კიდევ არ მოეთვინიერებია, ისინი ჯერ კიდევ თავიანთ თავს უფრო ლაღად საასპარეზო ქედებზე ან მთის მდინარეში გრძნობდნენ, ვიდრე თლილი ქვის პალატებში ან რომაულ ტერმებში. იბერიელი მეფეები და ერისთავები თავიანთ ციხე-კოშკებში ისე ისხდნენ როგორც არწივები კლდის ბუდეებში და იქიდან ყოველმხრივ ათვალიერებდნენ თავიანთ სამფლობელოს, რათა მტრის მოძრაობა არ გამოჰპაროდათ.

ტაციტის ცნობილი მოთხრობიდან, სადაც იბერიის უფლისწულის რადამისტის და მისი ცოლის ზენობიას თავგადასავალია აწერილი, კარგად სჩანს, რა ძლიერად იცოდნენ ძველად იბერიელებმა სიყვარული და სიძულვილი, რა დაუნდობელი იყვნენ ისინი, როდესაც საკითხი მათს პირადს ღირსებას შეეხებოდა.

პატივმოყვარე რადამისტმა იბერიელთა ჯარით აიღო სომხეთის მთავარი ციხე, რომელსაც რომაელების გარნიზონი იცავდა, და ვერაგულად მოკლა სომხეთის მეფე მიტრიდატი, რომელიც მისი ბიძა, დის ქმარი და სიმამრი იყო ერთსა და იმავე დროს. მაგრამ რადამისტმა დიდხანს ვერ გასძლო სომხეთის ტახტზე. მისი სიმკაცრით აღშფოთებულმა სომხებმა აჯანყება მოაწყვეს მის წინააღმდეგ, და რადამისტი იძულებული გახდა იბერიისაკენ გაქცეულიყო. რომაელი ისტორიკოსის თქმით, რადამისტი გადაარჩინეს ფეხმარდმა ცხენებმა, რომლებზედაც ისა და მისი ცოლი ისხდნენ. ზენობია ორსულად იყო. უკან დადევნებული მტრის შიშმა და ქმრის სიყვარულმა ქალს ერთხანს ადვილად გადატანინა ფიცხელი მგზავრობის სიძნელეები. მაგრამ როდესაც შეუწყვეტელი ჭენების გამო მას ფერდები და მუცელი საშინლად ასტკივდა, ის ქმარს შეევედრა, პატიოსნებისათვის სიკვდილით გადამარჩინე საძრახის ტყვეობასო. რადამისტი თავდაპირველად გულზე იკრავს თავის ცოლს, შემდეგ იგი მას ამხნევებს, ერთი მხრით გაოცებული მისი სულის სიძლიერით, ხოლო მეორე მხრით შეძრწუნებული იმ აზრით, რომ მას სხვა ვინმე დაეპატრონება, თუ აქ მიატოვა. ბოლოს, მის გულში მეშურნეობა სძლევს, ის ხანჯალს იშიშვლებს და ქალს ჩასცემს, შემდეგ არაქსისკენ მიათრევს და მდინარის ტალღებს მისცემს, რადგან ეშინია, რომ მისი გვამი ვინმეს ხელში ჩაიგდოს. სამშობლოში დაბრუნებული რადამისტი განიზრახავს ისეთივე ბედი გაუმზადოს თავის მამას—ფარსმან მეფეს, როგორიც თავის ბიძას გაუმზადა, და იბერიის ტახტის დაპყრობით სომხეთის ტახტის დაკარგვა აინაზღაუროს, მაგრამ ფარსმან მეფე მას მოაკვლევინებს.

ეს პირქუში სული, ეს სტიქიონური ვნებათაღელვა, ძლიერ დამახასიათებელია ძველი იბერიელებისათვის, როგორც ის დამახასიათებელია მათი მომდევნო თაობებისა, საშუალო საუკუნეების ქართველებისათვის. მათი გული თითქო დახშულია ნელთბილი ვნებებისათვის, პოლიტიკური პატივმოყვარეობა, სქესობრივი გრძნობა, მეშურნეობა მათში დაუცხრომელ, ხანდახან გამანადგურებელ [illegible] იწვევს. და როდესაც ჩვენ არმაზის ნეკროპოლიდან ამოღებულ პორტრეტულ გემაზე ბერძნულ წარწერას ვკითხულობთ, ქალის მიერ ქმრისადმი მიძღვნილს — „ძვირფასო, ჩემო სიცოცხლევ", ეს უბრალო სანტიმენტალურ ფორმად კი არ უნდა მივიღოთ, არამედ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ძახილად, რომელიც შეიძლება ქმრის ნაადრევი სიკვდილით იყო გამოწვეული.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ადამიანები მოკლებულნი ყოფილიყვნენ მაღალ მხატვრულ და გონებრივ ინტერესებს. პირიქით, ვერცხლის ფეხებიანი სარეცლები, რომელზედაც მათი წარჩინებულნი წოლილან, ბარელიეფიანი ლანგრები და სურები, რომლებიც მათს სუფრაზე წყობილა, მოწმობენ, რომ ისინი ცდილან სილამაზე შეეტანათ თვით ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში; მით უმეტეს დახვეწილს გემოვნებას მოწმობენ მათი სამკაულები, რომლებითაც ისინი ცდილან მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილება მოეხდინათ თავიანთი გარეგნობით: მათი საუცხოვო სარტყლის ბალთები, წარმოსახვის ფიბულები, ოქროს საკლავეები და საკოჭეები, ხოლო განსაკუთრებით ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ბეჭდები, სამაჯურები და ყელსაბამები. ბოლოს ტექნიკის დაწინაურებას მოწმობს ზოგიერთი სარკოფაგი თავისი ბანისებური ან ორფერდიანი სახურავით.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველა ეს მხატვრული ნაწარმოები იბერიაში უცხოეთიდან ყოფილიყოს შემოტანილი აღებმიცემობის ან საჩუქრად მოძღვნის გზით. უფრო დასაჯერებელია, რომ კავკასიის ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ბრინჯაოს ეპოქიდან ამდენი მნიშვნელოვანი საგანძური დარჩა, მხატვრული ხელოსნობის ტრადიცია არ შეწყვეტილა მომდევნო ეპოქებშიც, და რომის ეპოქის იბერიელი ოსტატები, ისევე მარჯვედ მუშაობდნენ ძვირფასი ლითონის და თვალმარგალიტის მასალაზე, როგორც მათი წინამორბედები ბრინჯაოზე ან თიხაზე მუშაობდნენ. რასაკვირველია, ეს არ უარყოფს, რომ ზოგიერთ იბერიელ ოსტატს, ხუროთმოძღვარი იქნებოდა ის, მხატვარი თუ ოქრომჭედელი, უცხოელის მასწავლებლის სკოლა გაევლოს, საზღვარგარეთ ან თვით იბერიაში, სადაც, როგორც ერთი საფლავის ლოდის წარწერიდან სჩანს, ბერძენ მხატვართუხუცესს და ხუროთმოძღვარს, ვინმე აქოლისს უმუშავნია, ალბათ, სამეფო კარის და სახელმწიფოს დავალებათა შესასრულებლად.

უფრო ნაკლებ საფიქრებელია, რომ ძველ იბერიელებს თავიანთი ეროვნული დამწერლობა და ლიტერატურა ჰქონდეთ. თუ მღვდელთმსახურება და მსხვერპლთშეწირვა იბერიელი მოგვებისაგან რელიგიური ჰიმნების და ფორმულების წარმოთქმას მოითხოვდა დედა ენაზე, ისინი ამას, ალბათ, ზეპირად ასრულებდნენ ბოლოდროინდელი ხევსური ხევისბერებისა და დეკანოზების მსგავსად, ხოლო თუ მათ დამწერლობა სჭირდებოდათ, ალბათ, ბერძნულს, ფალაურს და არამეულს იყენებდნენ.

ძნელი დასაჯერებელია ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში რამდენიმეჯერ გამოთქმული აზრი, თითქო იბერიელებს განვითარებული წარმართული მწერლობა ჰქონოდეთ, და ქრისტიანობას სრულიად გაენადგურებიოს იგი. არსად დედამიწის ზურგზე ეს ქრისტიანობას არ ჩაუდენია, რა საფიქრებელია, რომ მარტო იბერიაში ჩაიდენდა. თუ ქრისტიანობას თავისი ისტორიული მისია წარმართული ხელოვნების და მწერლობის ძეგლების სრული განადგურებით დაეწყო, იგი ვიწრო ებრაულ სექტად დარჩებოდა, მრავალი იმდროინდელი სექტის მსგავსად, და ვერასოდეს მსოფლიო რელიგიად ვერ ვა-

(დასასრული მე-4 გვ.)

გრიგოლ ბერძენიშვილი

მტრის ზურგში

1. მზესუმზირას ყვავილი

კრივოი როგიდან სოფელ სკილეკატკაში მივდიოდი. საფლავს მოვკარ თვალი. შევჩერდი. ქვა არ იდო საფლავზე. არც წარწერა ჩანდა. მასზე მხოლოდ მზესუმზირას დამჭკნარი ყვავილი ეგდო.

ირგვლივ ჰდუმარე მაღაროები იყო.

ნეტავ ვინ დასდო მზესუმზირას ყვავილი?

ირგვლივ არც ერთი ხე! ახლოს არც ერთი სახლი! აბა პასუხს ვინ გამცემდა! გზა განვაგრძე. სოფელ კატერინოვკას ფერდობიდან ბილიკით მდინარე ინგულეცისაკენ დავეშვი. დაქანცული ვიყავ. წყლის პირას ტირიფის ქვეშ ჩამოვჯექი.

ხელი მტკიოდა, მტკიოდა გულიც. ეს იყო ორმოცდაორი წლის ზაფხულის დამლევს, როცა კავკასიის მთებში, საქართველოს კარიბჭესთან მძიმე მდგომარეობა შეიქმნა.

ვიჯექი ტირიფის ძირას და ვფიქრობდი... ვფიქრობდი...

რაზე ვფიქრობდი? იბნეოდა აზრი და მაინც გონების თვალით მზესუმზირას ყვავილსა ვხედავდი.

— გამარჯობა, მოხუცო! — მომესალმა ვიღაც.

— გაგიმარჯოს! — ჩემს გვერდით თეთრწვერა, დაახლოვებით სამოცდა ათი წლის, ზურგზე პატარა ტომარა მოკიდებული უკრაინელი ჩამოჯდა.

— მოვწიოთ, მოხუცო! — (მე მაშინ ოცდაცამეტი წლის მოხუცი ვიყავი) გავაბოლეთ და შემდეგ შემეკითხა — სადაური ხარ?

— საქართველოდან ვარ!

— მაშ ქართველი ხარ? ზურგიდან ტომარა მოიხსნა, გაიღიმა და თითქოს გამოსაცდელად, ალბათ, ოდესღაც საქართველოში გაგონილი სალამი, მითხრა: „გამარჯობა, კაცო".

მე შეძლებისდაგვარად უთარგმნე: „დობრი დენ, ჩოლოვიკ!" მან კვლავ გაიღიმა. თავისი ტომარა გახსნა, იქიდან პურის ნატეხი ამოიღო, შუა გაჰყო და ნახევარი უსიტყვოდ ჩემს ცარიელ ჩანთაში ჩადო.

— ჯერჯერობით შავი პური ვჭამოთ. მხარზე ხელი დამკრა და გამოუმშვიდობებლად გამშორდა, არ ვიცი ვინ იყო ის მოხუცი!

მივატოვე მტირალა ტირიფი, მოვიარე სკილევატკა და ისევ კრივოი როგში მოვეშურებოდი. უცნობ საფლავს მივუახლოვდი, საფლავთან რვა თუ ცხრა წლის ქერათმიანი გოგონა იდგა, საფლავზედ ახალი მზესუმზირას ყვავილი იდო.

გოგონას გამხდარ სახეზე შიში არ შემიმჩნევია, ლურჯი თვალები უბრწყინავდნენ.

— გამარჯვება, ძია! დამასწრო მან, დაგლეჯილშარვლიანი, უქუდო და ფეხშიშველი, სახე დანაოჭებული კაცის შეხვედრა კრივოი როგში ბავშვებს არ აშინებდა.

— გაიზარდე, პატარავ... ეგ ყვავილი აქ შენ დასდე?

— ჰო, ძია.

— ნაცნობი კაცია?

— ნაცნობია.

— რა გვარია? ან რა ჰქვია? ვინ არის?

— წითელარმიელი. — მიპასუხა პატარა გოგომ.

ჩემი ჩანთიდან ნაწყალობევი პური ამოვიღე და გოგონას მივეცი.

— გმადლობთ, ძია!

განა ამ ძვირფას ყვავილისათვის მას უფრო მეტი ჯილდო არ ეკუთვნოდა?

2. კოლია

ეს-ელთა შტაბის წინ ხეზე პატარა ქაღალდი იყო მიკრული. ქაღალდზე პატარა ძაღლი ეხატა — ქეციანი, კუდმოჭრილი. ძაღლს პატარა ენა მიწამდე ჰქონდა გადმოგდებული. ენაზე შავი სვასტიკა და ორი ასო „ს. ს." ეხატა, კუთხეში იყო მინაწერი „კოლია". ამ პატარა ქაღალდმა დიდად გააბრაზა დიდი გერმანელი, იმასაც ჰქონდა წარწერილი საყელოზედ „ს. ს.".

— იპოვეთ, ჩამოახრჩეთ,—გასცა მან ბრძანება.

და ეძებდნენ კოლიას ჩამოსახრჩობად, ასაკუწავად.

პატარა ბავშვებს პატარა კუბო მიჰქონდათ. მალვით, კრძალვით და ჩაფიქრებით მიდიოდნენ. მოხუცმა დედაკაცმა ლოყაზე ხელი შემოიკრა, პირჯვარი გადაისახა და წაიჩიფჩიფა:

— ღმერთო, რა დრო დადგა, ბავშვებიც კი მარხავენ!

წვიმა წამოვიდა, ბავშვები მთავარ გზას მიუახლოვდნენ.

— „ეს"-ელები მოდიან, დავიმალოთ, — გასცა ბრძანება ცხვირ პაჭუა ევგენიმ.

რას იზამ, სხვა გზა არ არის! კუბო შუა გზაზე დადგეს, ცარცით წააწერეს: „ეჰ... კოლია". და მოჰკურცხლეს.

„ეს"-ელთა ჯგუფი კუბოსთან შესდგა. „ეჰ, კოლია", — ამოიკითხა ერთმა მათგანმა.

— ახსენით კუბო, — ბრძანა მეთაურმა. ახსნეს კუბოს და... კუბოში პატარა ქაღალდი იდო. პატარა ქაღალდზედ პატარა კატა ეხატა ჰიტლერის თავით!

— ეძიეთ, იპოვეთ, ჩამოახრჩეთ! როგორ გაბრაზდა... ამ ქაღალდზედ მისი სიბრაზე არ დაეტევა.

იანვარი მიიწურა. კრივოი როგში ტბა არის ჩაძირული, მაღაროს ეძახიან. ტბა გაყინული იყო. ღირსსახსოვარი თებერვალი დაიწყო. თებერვალი 1944 წლისა. გერმანელები დადიოდნენ კრივოი როგში ტანკებით, ძაღლებით და „ესესელებით". ეძებდნენ კოლიას ასაკუწად, ჩამოსახრჩობად.

ქალაქში უკვე ისმოდა საბჭოთა არტილერიის გუგუნი.

ჰიტლერი ბრძანებას ბრძანებაზე ჰგზავნიდა: „არ დათმოთ კრივოი როგი".

ვიღაცას უხილავი ხელი თოვლზე, ხეზე, კედლებზე ყოველდღე ხატავდა ხუთქიმიან ვარსკვლავს და აწერდა კოლია. გაიცა ბრძანება: „ვინც მკვდარს ან ცოცხალს ჩაგვაბარებს კოლიას, ჯილდოდ ასი ათასი მანეთი".

ერთ კვირაში კოლია ფასობდა ორასი, სამასი ათასი — და ბოლოს ოთხას ათას მანეთს მიაღწია. ბოლოს ესესელები ქალაქში ყველა კოლიას ამოწყვეტას უპირებდნენ, მაგრამ...

ბავშვები სიამოვნებით ითვლიდნენ გერმანელთა გვამებს, რომლებიც ასობით ეყარნენ კრივოი როგის გარეუბნებში. 22 თებერვალს წითელმა არმიამ გაანთავისუფლა კრივოი როგი.

— ბავშვებო, სად არის კოლია კრავჩენკო? — შეეკითხა ბავშვებს ორგზის ორდენოსანი კაპიტანი.

— კოლია შარშან ჩამოახრჩვეს ამიტომ, რომ პარტიზანებს ეხმარებოდა. ჩვენ ყველამ მისი სახელი დავირქვით, ჩვენ ვხატავდით, რაც მას დარჩა დაუხატავი.

— ეჰ... შვილო! კაპიტანმა ცრემლები მოიწმინდა, თვალები ცეცხლით აევსო და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას.

ქართველი ხალხის გმირი წინაპრები რუსეთის ომებში

ამ თემაზე მხატვარმა მ. ვადბოლსკიმ შეადგინა სამხედრო-ისტორიული კრებული. ამას წინად ავტორმა ეს კრებული გააცნო მწერალთა ჯგუფს. მ. ვადბოლსკი მიზნად ისახავს თანამედროვეთა მეხსიერებაში აღადგინოს დიდ რუსეთთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სურათი მე-17 საუკუნიდან დაწყებული ვიდრე 1-ლ მსოფლიო ომამდე. მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ კრებულში პირველად მოცემულია დახასიათება და პორტრეტი ბატონიშვილ ალექსანდრე ბაგრატიონისა, რომელიც პირველი გენერალი იყო რუსული არტილერიისა და რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსული არტილერიის შექმნაში — პეტრე პირველის დროს. ამას მოჰყვება პირველი ქართული სამხედრო ნაწილები, რომლებიც რუსული დროშით იბრძოდნენ 1757 წელს პრუსიის წინააღმდეგ. აქ ვხვდებით პოეტ დავით გურამიშვილს და რამდენიმე სხვა ქართულ გვარს, რომლებმაც შემდგომში არა ერთხელ ისახელეს თავი რუსეთისათვის ბრძოლაში. მ. ვადბოლსკის კრებულში მოცემული აქვს სუვოროვის, ნაპოლეონის დროის, რუსეთ-სპარსეთის, რუსეთ-თურქეთის და კავკასიის ომებში მონაწილე ქართველი გმირი მხედრების ფრიად საინტერესო პორტრეტული გალერეა. საკმაოდ ვრცლად წარმოდგენილნი არიან აგრეთვე რუსეთ-იაპონიის და 1914 წლის მსოფლიო ომის მონაწილე გმირი ქართველები. კრებული შეიცავს 180-მდე პორტრეტს, ჩანახატს, რომელთაც თან ახლავს ქართველ მეომართა მიერ ჩადენილ გმირობათა მოკლე აღწერა და ზოგ შემთხვევაში ილუსტრაცია.

ვიდრე ეს კრებული საჯაროდ გამოიცემოდეს, მწერალთა კლუბს განზრახული აქვს მოაწყოს ამ კრებულში მოსათავსებელი რუსეთის ომების მონაწილე ქართველი გმირი მეომრების ფოტოსურათების, ჩანახატების და საბრძოლო ეპიზოდების ილუსტრაციების გამოფენა.

ვიქტორ გაბესკირია

ამბავი შეიტყვეს

ის ჰყვება ამბებს: „თუმცა ერთ დროს ჩვენ გავიყავით,
შემდეგ კვლავ შევხვდით და ბრძოლებში ერთად ვიყავით,

ის საბრძოლველად ხშირათ მარტო მისულა მტრებთან,
დაბრუნდებოდა უვნებელი, თქვენ გინატრებდათ,

მას, წამოსვლის დროს წამით შევხვდი, ეს დამაბარა:
რომ უვნებელი ჩამოვალო. სწამდეთო მარად!

სცლიან სასმისებს. მათ სტუმარს კი კვლავ ყუმბარების
ხმა აგონებდა და მეგობრის დანაბარები:

ჩემი სოფელი, ნათესავნი როს იხილოვო,
ჩემი დაღუპვის ამბავი არ გაუმხილოვო.

სტ. შჩიპაჩევი

ჭაღარა

თმას გავისწორებ ხელით შიშველით,
მივალ ჭაბუკი თვალგასახარად,
მაგრამ ეს ჩვენი ქალიშვილები
დიდი ხანია მთვლიან ჭაღარად.

თვით მეგობრებიც ილაჯს მართმევენ,
ყველგან ყოველთვის, დღეა თუ ღამე,
ხელს ისე როდი ჩამომართმევენ,
ჩემს ჭაღარაზე არა თქვან რამე.

დიაღ! გაივლის ეს დრო თაკარა,
იტყვიან: გვწამდა დიდი მიზანი,
ოცდაათწლისას გვქონდა ჭაღარა,
არ ვერიდებოდით სამოცისანი.

თარგმანი **ი. გრიშაშვილისა**

ზურაბ ლორთქიფანიძე

დღის დაბადება

დაიბადება დღე მაღალ მთაზე
გადმოეშვება შემდეგ ტრიალით,
მზე მუზარადათ ახურავს თავზე
ლაწვ-ვარვარა და ნალვერდლიანი.

ის ჯერ კარდაკარ ივლის... ინთება,
ააშრიალებს აჩრდილებს ხესთან.
და როგორც უცხო, მოურიდებლად
სარკმლის მინაში შემოიხედავს.

შემდეგ შუქისგან ტან-დანათოვი
როცა სხივებში დავაჟკაცდება,
ერთი მოხდენილ ირმის ნახტომით
სისხლით მოხატულ ველზე გაჩნდება.

ააურიალებს ყველა ვაჟკაცებს,
აშლის... სივრცეებს გრგვინვით გაჰყვება-
ცაში ღრუბლებსაც ააკაშკაშებს
სისხლში შეღებილ ბაირაღებად.

დაჰკრავს... და მტერზე ცეცხლით
ნადირობს
ისურვა რისხვით ასე იქროლოს,
რომ გადაიქცეს სამარადისო
გამარჯვებათა ზვიად სიმბოლოდ.



ქართული დრუჟინის იერიში 1854 წელს 4 ივნისს ჩოლოქზე გიორგი ჯანდიერის („დროშა-გიორგი") მეთაურობით. სურათი შესრულებულია მხატ. **მ. ვადბოლსკის** მიერ. ეს სურათი მოთავსებული იქნება ამავე ავტორის მიერ შედგენილ კრებულში „ქართველი ხალხის გმირი წინაპრები რუსეთის ომებში".

ლევან გოთუა

ლეჩხუმელი ქალი

სამხედრო ჩანახატი

— გადატანილი გაჭირვებაც საამოა მოსაგონებლად, — თითქოს თავისთვის სთქვა უფროსმა ლეიტენანტმა მარო მუშკუდიანმა. ოდნავ მოწურული თვალებით გახედა უზღვროდ გადაშლილ, მოლივლივე ზღვას.

მატარებელში ცხელოდა. უფროსმა ლეიტენანტმა ფარაჯა გაიხადა და ისევ სარკმელს მიუბრუნდა.

— მაინც ყველაზე უფრო რა დაგრჩათ მეხსიერებაში?—შევეკითხე და ვიგრძენ, რომ იგი ზღვას უმზერს, მაგრამ ოცნების თვალით ზღვას კი არა, არამედ მთას, კავკასიონს ჰხედავს, კავკასიონს, რომლის ჩრდილოეთით, ხეობებში, იგიც იბრძოდა № დივიზიასთან ერთად, რომლის გადმოვლა მას მოუხდა მძიმე უკანდახევის ჟამს და რომლის კალთებზედაც ვერაგმა მტერმა შემდგომ სასტიკი დამარცხება იგემა.

— მთელი გზა დამრჩა მეხსიერებაში, განსაკუთრებით კი საქართველოს რუკა და თბილი წინდები.

ასეთ პასუხს არ მოველოდი.

— იქნებ გვიამბოთ? — შევეკითხე და სმენად ვიქეც. ძუნწად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვიამბო:

— ბრძანება მივიღეთ, კავკასიონი უნდა გადაგვევლო. მივადექით დონღუზ-ორუნის უღელტეხილს. ცუდი დარი შეგვესწრო. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა.

ზამთარში დონღუზ-ორუნის გადასავალი უვალია. № დივიზია მძიმე საარიერგარდო ბრძოლებს ეწეოდა. ის ეშელონი, რომელშიც მარო იყო, ერთ-ერთი პირველთაგანი იკვლევდა გზას უღელტეხილისაკენ. მათ ყამირი თოვლი უნდა ეტეხათ, რომ მერე მთელ დივიზიას გადაევლო მთაზე. ამიტომ მიიღეს განკარგულება, რაც შეიძლება მსუბუქად ევლოთ. მარომ მშრალი ულუფის გარდა, ერთი ხელყუმბარა და საქართველოს რუკა წამოიღო.

ხელთათმანები არა ჰქონდა, მაგრამ ფეხებზე თბილი წინდები ეცვა.

—ხეობის სოფელში ერთ მოხუც დედაკაცს შევხვდი: „ჩემ ქალიშვილს მაგონებ, იგიც შენ დღეშიაო", — შემომტირა, „მთაში შეგცივდება, აჰა, ეს წინდები გქონდესო". თავათ გაიხადა და გადმომცა. შევხედე მოხუცს, მისი თვალები ჩემ დედის თვალებს ჰგავდა. დედის უბესავით თბილი იყო ის წინდები. ის რომ არა ჰქონოდა, მარო ფეხებს მოიყინავდა, ალბად.

ეშელონი ყინვაზე რომ გავიდა, ჯაჭვივით გაიშალა. თოვლზე გავლებულ კვალს თითოთითოდ მისდევდნენ მებრძოლები. აღმართი მატულობდა, სიცივეც, თოვლიც, ქარიც, ალბათ, დაღლაც. ნაბიჯი თანდათან მძიმდებოდა, თითქოს წონა ემატებოდა სხეულს, სამოსს, საჭურველს, შეიარაღებას. მაგრამ გულის სიღრმიდან მოსული აზრი ყველას ამხნევებდა.

მარომ უბისაკენ წაიღო ხელი. მივხვდი, ალბათ, მთაზე გადმოსვლისას საქართველოს რუკა უბეში ედო. სამშობლოს სიყვარულიც იქვე ჰქონდა უბესთან, გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებთან ერთად მისი ნავალიც თეთრ ხნულად რჩებოდა ყინვარზე, მაგრამ ქარი ებრძოდა თეთრ ნავალს, თოვლის კორიანტელს აყენებდა. აღმართი მატულობდა. დონღუზორუნის კიდეგანებზე იწვნენ თეთრი, ცივი, მიუკარები ყინვარების უზარმაზარი სხეულები. ქართველი მებრძოლები კი ზევით მიიწევდნენ, დინჯად, ჩუმად, უსიტყვოდ ებრძოდნენ აღმართს და ავდარს. მარო გრძნობდა, რომ დიდი დრო გასულიყო, ღამდებოდა კიდეც. გული სიმაღლეს ჰგრძნობდა, საყელოს აწვებოდა, სულის მოთქმას უძნელებდა, გაყინულ ნერწყვად ეხირებოდა ხახაში.

ერთ ადგილას თოვლით დაფარულ კლდეზე შეფერხდა ეშელონის სვლელობა. გათოშილი მებრძოლები ძლივს ადიოდნენ კლდეზე. ფეხი უსხლტებოდათ უწრიაპოდ. ოდნავ შეჰყოყმანდა მაროც.

— აბა, ლეჩხუმელო ქალო, გვასახელე

ქარმა თუ მოუტანა ეშელონის უფროსის ხმა, მაროს მოაგონდა თავისი ბავშვობა, სოფელი, დედის ტკბილი საყვედური: „რა ბიჭივით დაძვრები მაგ კლდეებზე?" გულის ძგერაც კი შეუჩერდა მაროს. მას უმზერდა მთელი ეშელონი, იქნებ მტერიც უმზერდა. ამ ფიქრმა გაკაწრა გუმანი, სიძულვილით კრაჭა შეუკრა. მარომ კლდეზე შედგა ფეხი, ხელიც შეაშველა და ასვლა იწყო.

— მალე ადით, ვერა ხედავთ, ქალი როგორ მარჯვეთ ავიდა.

ისევ ქარმა თუ მოუტანა უფროსის სიტყვა.

... კარგა ხანია დაღამდა. მებრძოლები ისევ მიდიან, სულ მიდიან... და თითქოს ისინი კი არა, ბინდმოკიდებული თეთრი ბილიკი უკან მიცოცავს მათ ფეხქვეშ. ქარბუქი კი ისევ ცეკვავს, ისევ გრიალებს, ავად ბუქნაობს.

უღელტეხილთან ნაპრალი კვეთავდა ყინვარს. ზედ თოკი გაებათ მთასვლელებს. მარო გათოშილი ხელებით ჩაეჭიდა ამ თოკს და აჰყვა. გაუჭირდა. ქარბუქი თითქოს უკან, ნაპრალისაკენ ეწევა. ფარაჯას კალთებს უფრიალებს. მარო აშკარად ჰგრძნობს მის ცივ, მსახვრალ ფრჩხილებს, მაგრამ ლეჩხუმელმა ქალმა, საბჭოთა ოფიცერმა იცის, რომ ეს უკანასკნელი სიძნელეა — იქ, ზემოთ, გადასავალია. ეს თოკი ზღაპრული „ბეწვის ხიდს" აგონებს მაროს. სხეული უაღრესად დაძაბული აქვს, მაგრამ აზრი მედგრად მუშაობს. იქ, როგორც დივიზიის უფროსმა განმარტა, მყარი და უძლეველი პოზიციაა. იქ მიიღებს მტერი ღირსეულ პასუხს.

ესეც უკანასკნელი წერტილი. გადასავალზე სულ ერთი წუთით გაიხსნა ღრუბელი. მთვარემ გაჰკრა ირიბი სხივი და ქვემოთ, სამხრეთით, ღამის ბინდბუნდში გამოაჩინა თოვლის ტილოზე ჩახატული ქედები, ხეობები, ჩაშავებული ტყეები. სული მოიბრუნა მარომ. აქ არც ისე თოვდა, არც ისე ციოდა, მყუდროება სუფევდა თითქოს. დინჯად, იმედიანად ეძინა ღამის წყვდიადში გახვეულ საქართველოს. არა, არ ეძინა. აქვე, გადასავალზე, კარავი იდგა. სადარაჯოზე იდგნენ ქართველი ჯარისკაცები და სვანეთიდან მოსული მთასვლელები, ერთი მათგანი დაამახსოვრდა მაროს. გუშაგს ავტომატი მიედო მკერდზე, თბილი ქუდი მხოლოდ დაჭირხლულ წარბებს უჩენდა. ულვაშებზე ყინულის ლოლუები მოჰკიდებოდა. ღამის გუშაგი მყარად იდგა სადარაჯოზე და გასცქეროდა ჩრდილოეთ-დასავლეთს. რატომღაც მამა მოაგონდა მაროს. და კიდევ იგრძნო საბჭოთა ოფიცერმა მარო მუშკუდიანმა, რომ ეს დარაჯი აქედან უკან აღარ მოიცვლის ფეხს. მოკვდება და არ მოიცვლის.

... მატარებელი უახლოვდებოდა სადგურს. მარომ შეჰკვეცა თხრობა.

— ის რუკა სად არის ეხლა? — შევეკითხე და ჩუმად უბისაკენ გავხედე.

— ლეჩხუმში, მამის სურათთან ჩამოვკიდე.

— წინდები?

— დედას ჩავუტანე, მისი უბესავით თბილი იყო ნაჩუქარი წინდები.

მარომ ფარაჯა ჩაიცვა, ჩვენ წინ მტკიცე მებრძოლი, უფროსი ლეიტენანტი მარო მუშკუდიანი იდგა.

კლიმენტი გოგიავა

ოსტატი

ზოსიმე ხარჩილავამ თითქმის ნახევარი საუკუნე დაჰყო ქარხანაში დაზგასთან, მაგრამ შრომამ ვერ გასტეხა იგი. ასეთი ადამიანები კი ჩვენს დალოცვილ საქართველოში თითებზე ჩამოსათვლელი როდია. მათს მადლიან ხელებს ფოლადის მრავალი იარაღი გაუცვეთია, მრავალი მანქანა დაუბერებია, მაგრამ ისინი მაინც მხნედ გამოიყურებიან! ზოგ მათგანს ჭაღარაც კი არ შეჰპარვია. ულვაში ძველებურად, შნოიანად აქვს გადაგრეხილი.

— დიდება ღმერთს,—როგორც ყოველთვის, ამ დილითაც დაილოცა ზოსიმე, საუზმეს ჰაზეთი ახადა, თეფშებს შუა სამხედრო ტანისამოსით გამოწყობილი ქალის სურათმა გაუღიმა. ეს იყო მისი ერთადერთი შვილი ლიდა, სამედიცინო სამსახურის ლეიტენანტი, სურათი რომ აიღო, ზოსიმე კვლავ გუშინდელმა გაკვირვებამ მოიცვა. ახლა იგი შვილის მდუმარე, სევდიან სახეს როდი უყურებდა, არც წერილი აუღია ხელში, თითქოს უცხო მანქანას ჰჭვრეტსო, ისე ჩაციებით უმზერდა ქალის კოხტად შემოჭერილ ქამარზე რევოლვერს. ხანდისხან თითითაც ეხებოდა ბუდეს, რომ უფრო დარწმუნებულიყო შიგ მართლა რევოლვერი იდო თუ არა.

რევოლვერი!

არც ჰამის დროს მოშორებია მამას ფიქრი ამ მრისხანე იარაღზე. მძიმე ფიქრებში ლიდას ბავშვობის თუ ყმაწვილქალობის მოგონებათა ლამაზი სურათები გაიელვებდა. ზოსიმე თვითეულ სურათს უღიმოდა. იგი ამ წუთებში ბედის მადლიერიც იყო. კატის ფშვინვამ, ლოგინზე ნებიერად რომ ეძინა, ზოსიმეს მოაგონა ის ღამე, ლიდამ რომ თეთრად გასტეხა. მაისის მშვიდი ღამე იყო. ლიდას ტკბილად ეძინა. ლურჯი ნათურა ქალის საბანზე იისფერ სხივებს ალივლივებდა. კატამ გაიღვიძა, გაიზმორა და დაულაგებელ მაგიდას რომ შეხედა, ეშმა, პირი ეშმაკურად აიცმაცუნა და ერთი ნახტომით არტალიან თეფშს დააფრინდა. თეფში აჩხრიალდა. ხმაურზე ლიდა კივილით წამოხტა, მეორე ოთახიდან მამაც გამოენთო. იმ ღამეს ქალმა ვერ დაისვენა. შიშისაგან ცახცახებდა.

ზოსიმემ ალერსით შეხედა შვილის სურათს. მოღიმარე თვალები რევოლვერზეც შეაჩერა.

— მაშ ასე, ომია!

ზოსიმე ახლა ცალი თვალით უმზერდა სურათს. ჰმ... გაეცინა და ხელი ჩაიქნია.

„დავბერდი. მთლად გამოვტვინდი! ქალი ლეიტენანტია. ომშია. „დუხის" შუშას ხომ არ დაიკიდებს".

თავის სიტყვებზე თვითონვე გაეცინა. დამშვიდებული გამოვიდა ოთახიდან. აღმართი ჩაირბინა და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა სანაპიროს. თითქოს ხალიჩაზე მიაბიჯებსო, ისე შამაშუნებდა მის ფეხქვეშ ახალი თოვლი. უკან რჩებოდა ფართო ნაკვალევი, რომელსაც ისევ ავსებდა ფიფქი, ასე ნაზად რომ ცვიოდა.

წმინდა მტკვარი მდორედ მიედინებოდა. მოხუცს თვალებში ისევ ლიდას რევოლვერი უელავდა. მისი ცივი ლულა თითქოს მკერდზე ებჯინებაო. თახსი ფიფქი დაჟინებით იფრქვეოდა. თეთრდებოდა მიდამო. ზოსიმე ხეივნებს აკვირდებოდა. ლიდას დაეძებდნენ მისი ნაღვლიანი თვალები. სანაპიროზე უყვარდა ლიდას სეირნობა. სწორედ ამ ალვისხეების ხეივანში, შებინდებისას, თეთრი კაბის კალთებს ნაზად უფრიალებდა მტკვრისპირის ნიავი.

...ქარხნის ეზოში ომგადახდილი ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და შაშხანები დაეხვავებინათ. ზოსიმე ეზოში შესვლისთანავე შეჩერდა. ამდენი იარაღი მას ერთად თავმოყრილი არასოდეს ენახა. ერთხანს გაკვირვებული იდგა, შესცქეროდა ქვემეხს, რომელსაც სიკვდილივით შავი თვალი გაეღო. დამტვრეულ-დაჟანგული შაშხანები გროვებად ეყარა. თოვლის ფიფქი დაეცემოდა თუ არა ლითონს, მაშინვე დნებოდა.

„რისთვის მიბარებენ!" ისევ გაიფიქრა ზოსიმემ. კაბინეტის კარები ფრთხილად შეაღო თუ არა, დირექტორი, დიდ სავარძელში რომ იჯდა, უცებ წამოხტა, ხელები საზეიმოდ გაშალა და ბოხი ხმით დაიგუგუნა:

— ჩემი ოსტატი მოსულა, გამარჯობა შენი! ჰაა, როგორ მეტყოდი ხოლმე, რკინის მუშა რკინა უნდა იყოსო, გახსოვს?

— ჰოო,—ზოსიმე გადაეხვია თავის ნაშეგირდალს,—გზაზე რომ შემხვედროდი ვეღარც—კი გიცნობდი, ბიჭო; ასე უნდა დავიწყება?!

— რა ვქნა, ჩემო ზოსიმე. ომია. მოცლა არა მაქვს. საქმე თავსაყრელია. მუშახელი გვაკლია... შენ პენსიაზე გასულხარ. ყოჩაღად კი გამოიყურები. თანაც ერთი ჭაღარა არ გირევია, სწორედ საკვირველია!

— ჩვენ გვარში ჭაღარა არ ვიცით. რჯული გვაქვს ასეთი. ისე, ჩემო მოსე, ჯანმრთელობა სადაა. სულს ძალით დავათრევ. დავბერდი შვილო! ორმოცი წელიწადი დაზგასთან მუშაობა პატარა საქმეა?!

„ორმოცი წელიწადი დაზგასთან, მაგრამ ახლა...

დირექტორი უცებ შეჩერდა. სათქმელი ვერ უთხრა, უფრო მოხერხებულ დროს შევარჩევო. იცოდა ზოსიმეს ხასიათი.

ზოსიმეს მოგონებაში წარსული ცხოვრების ფერადი სურათები ერთიმეორეს სცვლიდნენ. მან გაიხსენა მოსეს შეგირდობა და ის ამბავიც, როცა იგი დაძენძილი ხალათით პირველად მივიდა ქარხანაში. ერთმა აბეზარმა ბიჭმა ზეთიანი ხელი შეაწმინდა ხალათზე. მოსე გაცეცხლდა.

— რა გაკვირვებს, გლეხო. მე მეგონა ჩვარი იყო,—მიუგო ბიჭმა.

— რას დამცინი, ძმიავ, მე ხალათი არა მაქვს, თორემ ჭკუა ქე მაქვს. სულელი შენსას მოიკითხე.

ამ მოგონებაზე ზოსიმემ შავ გრუზა ულვაშებში გაიღიმა. მიაჩერდა ნაშეგირდალს, რისთვის დამიბარეო. დირექტორის მშვიდი, ოდნავ ნაღვლიანი თვალები უღიმოდნენ მას. ზოსიმემ თვალები მიმოავლო კაბინეტის აფერადებულ კედლებს, წითელ ჩარჩოებში ჩასმულ პორტრეტებს, სავარძლებს და შემდეგ, დირექტორს რომ მიხედა, კმაყოფილება იგრძნო.

...ჰაი დედასა, ვერ დამიყენებია კარგ გზაზე თუ რა! მერე ასეთი რამდენი გამიზრდია!

ზოსიმე ზურგით სკამზე გადაწვა. ულვაშებზე ხელი გადაუსვა, შეგირდებისაგან მიძღვნილი ვერცხლის სათუთუნე ამოიღო. შიგ ძვირფასი პაპიროსი ელაგა, მოსეს მიაწოდა.

— ეგ საიდან!

გაიკვირვა დირექტორმა, როცა ამ ათი წლის წინანდელი მარკის პაპიროსი აიღო.

— მქონდა... მაქვს!

— ღმერთმა მოგცეს. სხვა, ზოსიმე, ლიდასი რა ისმის?

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, გუშინ წერილი მივიღე. მესამედ დაუჭრიათ. ახლა ჰოსპიტალიდან მწერს: უკვე განვიკურნე და ამ დღეებში მელოდეო.

* * *

ზოსიმე ქარხნიდან ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა და შინ ბუხარს რომ მიუჯდა, სითბომ მიუალერსა. ჩიბუხი მაგრად გასტენა. თამბაქოს კვამლი მის წინ ჯერ წრისებურად დატრიალდა, შემდეგ ბუხარში შევიდა, ხოლო ნესტოებიდან ამოდენილი ბოლქვები ისევ ტრიალებდნენ ულვაშებში.

— არა, არ მინდა ამაზე ფიქრი, უარი ვთქვი და მორჩა. ორმოცი წელიწადია რკინასა და ფოლადს ვეჭიდები, არ მეყო განა! დიახ, ერთი კაცისათვის ორმოცი წლის მუშაობა სრულიად საკმარისია.

წაიდუდღუნა მან, და უფრო რომ დამშვიდებულიყო, შვილის წერილი აიღო.

...არა, ამ დალოცვილს რომელ დღეს ჩამოვიდოდა მოეწერა მაინც. ამ დღეებში მელოდეო. ჰმ, მოდი და გაიგე ახლა მართლა როდის ჩამოვა.—ფიქრობდა ზოსიმე, თანაც დაჭმუჭნულ წერილს ხან სულ ახლოს მიიტანდა თვალთან, ხანაც შორიდან დაიჭერდა და ვინ იცის მერამდენჯერ კითხულობდა.

... ვაჟკაცურად კი მწერს: მამა, გერმანელებს სამაგიეროს მივუზღავთ! ყოჩაღ, ჩემო გოგონა. შენგან არ მიკვირს? რამ გახადა ასეთი გულადი, როცა შინ ბუზის გაფრენაც კი აკრთობდა. თაგვის ფაჩუნზე ირეოდა. ახლა კი რევოლვერი! ყოჩაღ, შვილო! შენ რომ ვაჟი ყოფილიყავი!.. თვალი დაუდგეს სიკვდილს, არ შემარჩინა ბიჭები.

ოთახში ნათურა ლურჯად, ულონოდ ანათებდა. გარეთ კი გაბადრული მთვარე მოყინულ თოვლს მარგალიტად აკამკამებდა. ფანჯრიდან მთვარის სხივები უფრო ანათებდა ოთახს, ვიდრე ელნათურა. ზოსიმე ბუხრის წინ სკამზე გადაწოლილიყო და ჩიბუხის კვამლს, ცეცხლისაკენ რომ მიიკლაკნებოდა, ფიქრს აყოლებდა.

ალაყაფის კარებმა გაიჭრაჭუნა.

— მამა, მამიკო!..

ეს ლიდას ხმა იყო, მაგრამ სიხარულმა ისე მოუსავა მოხუცს, რომ ზეზე ვერ წამოდგა და ოთახიდან გასძახა:

— ლი... და! შვილოო...

— მამა!

— შვილო, გამახარე, შვილოო...

უცებ ზეზე წამოიჭრა და შვილი კარებშივე ისე აიტაცა, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინათ, ჯერ კიდევ პატარას, ჰაერში აბურთავებდა ხოლმე.

— ეს შენა ხარ! ჩემო სიხარულო, ჩემო თვალისჩინო... არა, ეს შენ არა ხარ. ამას ვერ დავიჯერებ. აბა აქ დამენახე... და ზოსიმემ ხელში აკეცებული ლიდა მაგიდაზე დასვა. ჭაღი გადასწია. შეუნიღბავმა ელნათურმა ოთახში ითქრიალა.—აბა, ქუდი მოგხადო. ნამდვილად ჩემი ლიდიკო ხარ თუ არა!.. შვილო, ამას რას ვხედავ!!

უცებ მამის დიდი სიხარული მწუხარებამ ისე შეატოკა, რომ ცრემლები ქალის ჭაღარას დაეცა. მოხუცი მაგრად იხუტებდა შვილს მკერდზე და ტიროდა გულამოსკვნით. ცრემლები ლიდასაც წასკდა და მამას უფრო მიეკრა მკერდზე.

— ამას რას მოესწარი, შვილო, შენ და ჭაღარა!.. ჭაღარა ჩვენს გვარში ვინ გაიგონა! მე დავბერდი თუ შენ! შვილო, რამდენი წლისა ხარ?

— დამშვიდდი, მამა.

ლიდა მაგიდიდან მსუბუქად ჩამოხტა. ქამარი მოიხსნა, რევოლვერი მაგიდაზე დასდო, ხალათი გაიხადა და ტახტზე შილიფად წამოწვა.

ოთახში თბილოდა. ბუხარში ცეცხლი საზეიმოდ ვუგუნებდა.

მგზავრობამ ლიდაზე ცუდად იმოქმედა. მატარებლის ნჯღრევამ ნაავადმყოფარი ქალი მოქანცა. მაგრამ მამამ, ოთახმა და მშობლიური ქალაქის ხილვამ იგი გაახალისა. სტუდენტობის ნივთებმა გაამხნევა. მომქანცველი ძილი, მატარებელში რომ საშველს არ აძლევდა, უცებ გაჰქრა. ლიდამ სიხარულით მოციმციმე თვალები ხარბად მიმოავლო ოთახს. ყოველი ნივთი თავის ადგილზე, როგორც დასტოვა, ისე დაუხვდა. მამის მზრუნველი ხელი ყველაფერს ეტყობოდა. ჯარში მისი წასვლით ოჯახში სისუფთავე და წესიერება არ დარღვეულა.

მაგიდაზე სასწავლო წიგნები, კონსპექტების რვეულები, თაროზე წამლებით სავსე ბოთლები..., ლიდა სიხარულით წამოდგა, შიფონერი გააღო, თეთრმა, წითელმა და ჭრელმა კაბებმა სახეზე შემოანათეს. ღამის პერანგი ამოიღო, შიფონერის უკან ავიდა და გადაიცვა.

— მამა, ძაან დაგიკრიალებია ოთახი!—ამ სიტყვებით მან კედლებს მიაპყრო თვალები.

„ყველაფერი თავის რიგზეა. მაგრამ ეს... სურათი!...

დაბალი, ნაღვლიანი ხმით შეეკითხა მამას.

— მამი, ეს სურათი როდის გაადიდებინე?!

ლიდა შიშით შესცქეროდა შინდისფერ ჩარჩოში ჩასმულ თავის პორტრეტს, რომელიც კედლის კუთხეში ეკიდა, სწორედ დედის სურათის გვერდით.

...ბიძაჩემი რომ გარდაიცვალა, მამამ სურათი გაადიდებინა... საწყალი დედაჩემი რომ კიბომ დაახრჩო, მამამ მისი პორტრეტი იმავ დღეს გაადიდებინა. სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა დედიკოს სახე.

მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარჰყო. მან თავის გადიდებულ პორტრეტზე შეამჩნია ის უსიცოცხლობა, მკვდართა სურათებზე რომ არის ხოლმე აღბეჭდილი. ლიდა ერთხანს გაფითრებული იდგა. შიში გულში ცივად ეღვრებოდა. თვალთაგან არ შორდებოდა შინდისფერი ჩარჩო, რომლიდანაც ახლა თავისი უსიცოცხლო სახის ნაცვლად სიკვდილი იღიმებოდა.

ლიდამ შიშჩამდგარი თვალები მიაპყრო მამას და მილეული ხმით მიმართა:

— ვერ ყოფილა კარგი ხელოსანი. ეს სურათი მე არა მგავს.

ჩიბუხის კვამლში გახვეული მამა ხმის ამოუღებლად გავიდა გარეთ.

ლიდამ ამოიხვნეშა, შემდეგ მძიმედ წამოდგა და კიდევ მიუახლოვდა სურათს. ახლა მწვავედ იგრძნო მან სიკვდილისადმი შიში. წარმოიდგინა სმოლენშჩინის გაუვალი ტყეები. გერმაელთა ალყა. მძიმე ჭრილობები... ჰოსპიტალში სიკვდილთან ბრძოლა. აქ, ამ მშვიდობიან თბილისში კი, სიკვდილის აჩრდილს მოხუცი მამა გადაუცდენია.

ლიდა შუა ოთახში თეთრი მოჩვენებასავით იდგა. ყოველ შეთრთოლებაზე, თითქოს ნიავმა დაუბერაო, პერანგი უფარფალებდა.

„წერილებს რომ ვერ ვწერდი მამას, ალბათ..."

სიტყვა არ დაუმთავრებია, დაუძახა მამას და საწოლისკენ წავიდა.

ზოსიმე ოთახში ფრთხილად შევიდა გაფითრებული.

— დაისვენე, მამა, დაიძინე. თორემ დაგვათენდება, ხვალ სამუშაოზე არ დაგაგვიანდეს.

ბუხარი ისევ გუგუნებდა.

მამა საბანში მაგრად გაეხვია. კედლისაკენ მიბრუნდა, რათა მართლა დაეძინა, რომ დილით ადრე ამდგარიყო.

შიში, დედისა და შვილის პორტრეტებს ქვეშ რომ ატუზულიყო, ლიდას ისევ ფართო თვალებით უმზერდა.

„აი, ფრონტიდან სად მოსულა იგი, მოხუცი მამა რომ გაებრიყვებინა!—ფიქრობდა ქალი და როგორც გულში, ისე მოშუშებულ ჭრილობებშიც ტკივილსა გრძნობდა.

საყვირის ხმაზე მამა ადგა. საცვლების ამარა გავიდა სამზარეულოში, თავისი სამუშაო ტანისამოსი გამოიტანა. იგი ძველებურად გამოეწყო. უჯრიდან ორი ჭიქა ამოიღო, არაყით გაავსო. და შვილს მიაპყრო მზრუნველი თვალები. ლიდას მამისაკენ ჰქონდა სახე მობრუნებული და ეძინა.

—ეს შენი სადღეგრძელო იყოს, შვილო— და პირთან მიტანილი ჭიქა ისევ მაგიდაზე დასდგა.—ჰე, ვაჟიშვილი რომ ყოფილიყო, როგორ დავათრობდი!—მწარედ ჩაილაპარაკა მოხუცმა და ლიდასთან მივიდა. ჭაღარამ ისევ შეაკრთო იგი. სულგანაბულმა დააცქერდა ქალის სახეს. მძიმედ ამოიხვნეშა, ჭაღარას შეახო ათრთოლებული ტუჩები და ისევ აიღო ჭიქა.

— დამილოცნიხარ, შვილო, ჩემო იმედო.

მამამ ჭიქა ჭიქას მიაჭახუნა, თვალების მოჭუტვით გამოსცალა ერთი და დაბამბული პალტო გადაიცვა.

იგი ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა დათოვლილ სანაპიროს და ყურებში ისევ უწკრიალებდა შვილის ნაზი სიტყვები—: სამუშაოზე არ დაგაგვიანდეს.



გერმანელ დამპყრობელთა ნაკვალევზე. ნახ. ელ. ახვლედიანისა.

ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან

(დასასრული)

დაიქცეოდა. ქრისტიანობამ ძველი წარმართული კულტურა კი არ მოსპო, არამედ გადალახა, ე. ი. ამ კულტურიდან უკუაგდო, რაც თავისთვის მიუღებლად მიაჩნდა, და აითვისა, რაც მისთვის აუცილებლად საჭირო იყო. მან თავისი საკულტო მიზნებისთვის გამოიყენა რომაული ბაზილიკა, მოზაიკა და ფერწერა, ნაწილობრივ თვით წარმართული ჰიმნოგრაფია. ქრისტიანულმა აზროვნებამ ბევრი რამ აითვისა პლატონის, არისტოტელის, ნეოპლატონიკოსების, სტოიკოსების ფილოსოფიიდან; მას არ გაუნადგურებია თვით წარმართული ბერძნული და რომაული მხატვრული ლიტერატურის ძეგლები. პირიქით, ამ ძეგლების დიდი ნაწილი თანამედროვე კაცობრიობას ქრისტიანულმა მონასტრებმა შეუნარჩუნეს.

არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახლად მოქცეული ქართველი ქრისტიანები უფრო შეურიგებლად ყოფილიყვნენ განწყობილი წარმართული კულტურის ძეგლებისა და მწერლობისადმი, ვიდრე ევროპაელი და წინააზიელი ქრისტიანი ერები იყვნენ. პირიქით, ცნობილია, რომ არც წინაფეოდალური ეპოქის და არც საშუალო საუკუნეების ქართველ ქრისტიანებს სექტანტებისა თუ სხვა სჯულის მიმდევრებისათვის არასოდეს ისეთი კოცონები არ დაუნთიათ, როგორსაც მათთვის დროგამოშვებით ბიზანტიელები და ევროპიელი კათოლიკები ანთებდნენ. ეს გარემოება, უმთავრესად, ძველი ქართველების აზროვნების თავისებურებით უნდა აიხსნებოდეს, მათი რელიგიური შემწყნარებლობით, ისევე დამახასიათებელით, როგორიც მათი პოლიტიკური ვნებიანობა იყო.

როდესაც ძველი ქართველი მემატიანე არჩილ მეფის დროის შესახებ ამბობს, აზნაურთა სტეფანე წმინდაი აღაშენეს არაგუსა ზედა, და მოგუნი მოგუთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედაო, ამით ის ერთ უმთავრეს მოვლენას აღნიშნავს ჩვენი რელიგიის ისტორიიდან. მართალია, მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ცეცხლის თაყვანისცემის დროებითი აღორძინება აღმოსავლეთ საქართველოში მაზდეანური სპარსეთის პოლიტიკური ზეგავლენით მოხდა, მაგრამ ძლიერი წარმართული ქვენაკადი ქართველი ერის აზროვნებაში არასოდეს არ დაშრეტილა და ეს მის ზნეჩვეულებასაც ეტყობა და მის რწმენასაც. სულ ბოლო დრომდე ქართულ საეკლესიო დღესასწაულებზე საკურთხის მიტანა ხდებოდა მიცვალებულთათვის და მსხვერპლთა შეწირვა ცოცხალთა სადღეგრძელოდ, თვით ეს ეკლესიები (მაგალითად, სვეტიცხოველი, ზედაზენი, არმაზი, მცხეთის ჯვარი), როგორც ჩანს, ხშირად წარმართული ტაძრებისა, სამსხვერპლოებისა და ბომონების ადგილას შენდებოდა, რათა ხალხს მეტისმეტად მტკივნეულად არ ეგრძნო ძველი სარწმუნოებიდან ახალზე გადასვლა.

დიდათ საგულისხმოა, რომ ქართულმა მხატვრულმა აზროვნებამ აითვისა წარმართული ფალაური ლიტერატურის უდიდესი ძეგლი „ვისრამიანი“ და ბერძნული წარმართული მითოლოგია. დიდათ საგულისხმოა აგრეთვე, რომ სპარსულ მაჰმადიანურ ლიტერატურას არც ერთი წინააზიელი ერის ლიტერატურაზე არ მოუხდენია ისეთი გავლენა, როგორიც ქართულზე მოახდინა.

თუ ქართული წარმართული ლიტერატურის ძეგლები არ დაგვრჩა, საფიქრებელია, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი ქრისტიანობამ მოსპო, არამედ იმით, რომ ისინი საზოგადოთ არ არსებულან. ძნელი წარმოსადგენია, რომ მებრძოლ ქრისტიანულ ეკლესიას ყველა წარმართული შინაარსის პაპირუსი და პერგამენტი გაენადგურებინოს; მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ის აკლდამებში შეჭრილიყოს და იქ ყველა წარმართული დროის ქართული წარწერა მოესპოს, ხოლო ბერძნული, არამეული, ებრაული წარწერები ხელუხლებლად დაეტოვებინოს.

ქრისტიანობის შემწეობით მოხდა ქართველი ერის თვითგამორკვევა, ქრისტიანობამ როგორც უფრო დემოკრატიულმა რელიგიამ, წარმოშვა მოთხოვნილება ხალხური ენის გამოყენებისა მღვდელთმსახურებისა და ქადაგებისათვის, და გვგონია, რომ ქართული მწერლობის წარმოშობის თარიღი ქართლის მოქცევის დღიდან უნდა ვეძებოთ. ჩვენ არ უნდა გაგვაკვირვოს იმ გარემოებამ, რომ უკვე ერთი საუკუნის შემდეგ დამწერლობის შემოღებიდან ქართულ ენაზე ისეთი მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ნაწარმოები შეიქმნა, როგორიც „შუშანიკის ცხოვრებაა“ სწორედ იმიტომ, რომ იაკობ ხუცესის წინამორბედნი „ზენდავესტის“ ტექსტებს და პლატონის დიალოგებს, ალბათ, დედანში კითხულობდნენ.

რატომ მოხდა, რომ იბერიელების უახლოესმა ხალხებმა, დაახლოვებით მათი კულტურული დონის სიმაღლეზე მდგომმა კოლხებმა ვერავითარი დამწერლობა და ლიტერატურა ვერ შექმნეს ვერც წარმართობისა და ვერც ქრისტიანობის ეპოქაში? ეს იმით უნდა იხსნებოდეს, რომ მათი ეროვნული თვითგამორკვევა დაგვიანდა, რომ მათ ქრისტიანობა იბერიელებზე უფრო გვიან მიიღეს და ისიც არა ირანულ მაზდეანობასთან ბრძოლაში, არამედ მაღალკულტუროსანი ბიზანტიელების ზეგავლენით. ხოლო როდესაც ისინი ამ ზეგავლენისაგან ნელნელა განთავისუფლდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს უკვე გავითარებული ქრისტიანული მწერლობა ჰქონდა, და ბაგრატიონების დინასტიამ და მცხეთის კათოლიკოსატმა ის კოლხების ჩამომავალ ლაზ-მეგრელებსაც მიაღებინა. ამრიგად ქრისტიანობამ დაამთავრა ქართველი ერის თვითგამორკვევის და გაერთიანების პროცესი.

მცხეთის და არმაზის სასაფლაოთა საუკეთესო ეპიტაფიას, შეიძლება მარკ ავრელიუსის სიტყვები წარმოადგენდეს: „მოვა დრო, როდესაც შენ ყველას დაივიწყებ და ყველანი, თავიანთი რიგით, შენ დაგივიწყებენ“. საშუალო საუკუნეებში სამთავროში ქრისტიანულ მღვდელთმსახურების ცენტრი იყო იქ, სადაც გადმოცემის თანახმად, პირველად წმინდა ნინო დასახლდა მაყვლის ბუჩქებით დაბურვილ ადგილას. აქ მიწაში ქვევრები ჩაუდგამთ საზედაშე თუ ძმათა სატრაპეზო ღვინის შესანახად. მათ, ალბათ, ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ამ ქვევრების ქვეშ სხვა დაპირქვავებული ქვევრები იდგა, რომელთა მდუმარე ბინადართ, შეიძლება, ერთს დროს ხელში ღვინით სავსე ფიალა სჭეროდეთ მზისა, მთვარისა და ცდომილი ვარსკვლავების შესაქებად ან სამსხვერპლოს აღგზნებულ ცეცხლზე დასახმელად. ხოლო უკვე ჩვენს დროში ამავე მონასტრის მახლობლად ბროწეულის ხე აღორძინებულა, თავისი ფესვებით სასაფლაოში ღრმად შეჭრილა და ისინი ძვირფასი სერდოლიკის ყელსაბამის თვლებში გაუყრია, რომელიც შეიძლება ერთს დროს უმშვენიერესი ქალის გულმკერდს ამკობდა.

საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო სეზონი

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია დიდ მუშაობას ეწევა მოსახლეობისა და წითელი არმიის ნაწილების მხატვრული მომსახურებისათვის. ფილარმონიის მსახიობთა ბრიგადები გამოდიან როგორც დედა-ქალაქსა და რაიონულ ცენტრებში, ისე კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში. ხშირად ბრიგადას ნახავთ მინდორში, სადაც ის მხატვრულ მომსახურებას უწევს თესვას თუ მოსავლის აღებას. ასეთმა ბრიგადებმა შემოიარეს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონი. სპეციალური ბრიგადა იყო გაგზავნილი ზაქათალში.

ყოველდღიურად ფილარმონიის ორი-სამი ბრიგადა გამოდის ჰოსპიტლებსა, გარნიზონის ნაწილებსა და სამხედრო სასწავლებლებში. გარდა ამისა, ფილარმონია მომსახურებას უწევს მომქმედ არმიას. ერთერთი ბრიგადა ამჟამად იმყოფება რუმინეთის ფრონტზე.

საინტერესო მუშაობას ატარებს ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი. კონცერტები იმართება ფილარმონიის საზაფხულო თეატრში და ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ყოფ. „სტელა“). შემუშავებულია სიმფონიური კონცერტების გეგმა, რომელიც საზამთრო სიმფონიური სეზონის დაწყებამდე განხორციელებული იქნება.

საქართველოს ფილარმონიასთან არსებობს სიმებიანი კვარტეტი ლ. შიუკაშვილის, ლ. იაშვილის, გ. ბარნაბიშვილისა და ვ. ბერიძის შემადგენლობით. კვარტეტისათვის დახმარების გასაწევად მოწვეულია პროფ. გუზიკოვი.

ფილარმონიასთან არსებულმა ანსამბლებმა (მეჩონგურე ქალთა გუნდი ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით და ქართლ-კახური მომღერალთა გუნდი მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით) დაამთავრეს მოსამზადებელი მუშაობა და საგასტროლოდ მიემგზავრებიან საქართველოს რაიონებში.

ფილარმონიის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს თემატიური კონცერტების მოწყობას, შემუშავებულია მხატვრული ღონისძიებათა გეგმა, რომელიც გულისხმობს ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოების მოწყობას შემდეგ თემებზე: „გმირი დედა“, „რუსი პოეტები და კომპოზიტორები საქართველოს შესახებ“, „1812 წლის სამამულო ომი ლიტერატურასა და მუსიკაში“, „ქართველი ავტორები რუსულ ენაზე“.

ამ თემების რეალიზაციაში ჩაბმული იქნებიან ქართველი პოეტები, აგრეთვე ქართული და რუსული თეატრების მსახიობები.

სარაიონო თეატრების მუშაობის ზოგიერთი საკითხი

ჩვენი თეატრები ახალი სეზონისათვის ემზადებიან. ბუნებრივია, ამ დროს საკითხის ასე დაყენება: რა მოგვცა გასულმა სეზონმა? რას გვიჩვენებს ახალი სეზონი?

ჩვენი გაზეთის 30 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო საყურადღებო წერილები სეზონის შედეგებისა და ახალი სეზონის პერსპექტივების შესახებ. თეატრების და დრამატურგების მუშაობის შესახებ ლაპარაკი იყო აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზეც, რომელმაც დრამსექციის საანგარიშო მოხსენება მოისმინა. წერილებიც და მოხსენებაც ძირითადად შეეხებოდა თბილისის თეატრებს, უმთავრესად რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს. რასაკვირველია, ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, როგორც სწორად აღნიშნავს ამხ. ბ. ჟღენტი, ტონს აძლევენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები. მაგრამ მაინც უმართებულოა უყურადღებოდ დავტოვოთ რაიონის თეატრები.

20-ზე მეტი ქართული სახელმწიფო თეატრი მუშაობს საქართველოს რაიონებში და, მათ შორის, ისეთი ძლიერი, როგორიცაა ქუთაისის, გორის, ჭიათურის, სოხუმის, ბათუმის და სხვ. თეატრები. მაგრამ ძლიერია თუ სუსტი თეატრი, მას მაინც თავისი მაყურებელი ჰყავს და ჩვენი ვალია ვიცოდეთ რას აკეთებენ ეს თეატრები.

ჩვენს თეატრებს მაყურებელი არ აკლია, არა მარტო სეზონის განმავლობაში, ზაფხულშიც კი რაიონის თეატრები მუშაობენ საქართველოს ქალაქებში და წარმოდგენებს მუდამ დიდძალი ხალხი ესწრება. სოხუმის თეატრმა მოიარა აბაშა, სამტრედია, წულუკიძე; ტყიბულის თეატრმა—აბაშა, სამტრედია, ლანჩხუთი. მოგზაურობენ სხვა თეატრებიც. რას უჩვენებენ ისინი მაყურებელს? როგორ ზრდიან ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც მაყურებლის ძირითად კონტინგენტს წარმოადგენს? ეს საკითხები პასუხს მოითხოვენ.

ჩვენ მუდამ გვესმის საყვედური: ქართველი დრამატურგები ცოტას სწერენ, განსაკუთრებით თანამედროვე თემაზე. მაგრამ როცა ქართველ დრამატურგებზე ლაპარაკობენ, მხედველობაში ჰყავთ მხოლოდ ჩვენი წამყვანი დრამატურგები, რიცხვით ოთხიხუთი კაცი. სინამდვილეში ჩვენ არც ისე ცოტა ორიგინალური ქართული პიესა გვაქვს. აი არა სრული სია იმ ქართული ორიგინალური პიესებისა, რომლებიც ჩვენი სარაიონო თეატრების 1943-44 წლის რეპერტუარში იყო: ვიტრიშაკი და ლაღიძე—„სამშობლოს აღზრდილნი“, დ. თაქთაქიშვილი—„ოჯახი“, „რომანტიული შეხვედრა“, „კვალითელი დალაქი“, „საჩუქარი“, „მოხუცი პატრიოტები“, „ოქროს ლარნაკი“, ვ. პატარაია—„იუდა“, „კარიერის ქოთანი“, გ. ქელბაქიანი — „რას იზამ, ომია“, „მატარებელი გამოვიდა“, „შესანიშნავი ექიმი“, „საქმმართველი კაციანი“, ყურაშვილი და დიდებულიძე—„მე-4 სიმფონია“, ივანიშვილი—„უკრაინელი დედა“, აღლაძე—„სიკვდილზე ძლიერი“, სამსონია—„7 ს. და 29 წუთზე“, ტულაში—„საბედისწერო ბილიკი“, მანაგაძე—„არიული კუჭი“, ჯავახიშვილი—„ნორჩი გმირი“, გაბუნია—„საბჭოთა კავშირის გმირი“, „ორჯონიკიძის ხმალი“, ტატიშვილი—„ომში წასვლა მინდა“, გორდაძე—„პაპუს ქორწილი“, დევიძე—„ოთხთა ქორწილი“, ოდიშარია—„თეთრი და შავი“, კიკვიძე—„სამშობლო გვეძახის“, გოგიაშვილი—„ვალია სოკოლოვა“, კაჭკაჭიშვილი—„გაიდარი“, ისაკოვი—„იავნანა“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ეს არასრული სია არც ისე მცირეა, მაგრამ რას წარმოადგენენ ეს პიესები? იქნებ, ისინი გაუვალი ხალტურაა, იქნებ მშვენიერი ნაწარმოებები არიან. ფართო საზოგადოებრიობა მათ არ იცნობს. კიდევ მეტიც: მწერალთა კავშირის დრამსექციაც არ იცნობს მათ.

მართლაც, ზემოთ დასახელებულ პიესათაგან ზოგიერთი საინტერესოდ არის დაწერილი და სწორად ასახავს ჩვენი ხალხის ბრძოლას სამამულო ომის დღეებში. ზოგიერთი აშკარა ხალტურაა და მათი დადგმა ყოვლად დაუშვებელია.

ყველა ამ პიესას აზის სარეპერტუარო განყოფილების ბეჭედი, მაგრამ ისინი სარეპერტუარო კომიტეტს არ განუხილავს. რატომღაც ასეთი წესი გამომუშავდა: სარეპერტუარო კომიტეტი განიხილავს მხოლოდ დიდი თეატრებისათვის განკუთვნილ პიესებს. ჩვენთვის გაუგებარია პიესების ასეთი დანაწილება. შეიძლება პიესა ვერ დადგას რაიონის თეატრმა მასშტაბის გამო, მაგრამ ხარისხის მიხედვით პიესების დაყოფა რაიონისა და თბილისისათვის ყოვლად წარმოუდგენელია. პიესა, რომელსაც დადგმის ნებართვა ეძლევა, უსათუოდ მაღალხარისხოვანი უნდა იყოს, განურჩევლად იმისა, სად დაიდგმება იგი—თბილისში, ქუთაისში, თუ ტყიბულში.

პიესების ასეთმა არასწორმა განაწილებამ დრამატურგებიც ორ რაზმად დაჰყო. ერთი, უფრო მცირე რიცხოვანი, მაგრამ გამოჩენილი, სახელიანი დრამატურგების ჯგუფი დიდი თეატრებისათვის სწერს. მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დამწყებთაგან შემდგარი ჯგუფი, რაიონებისათვის სწერს. ამ „სარაიონო“ დრამატურგების ერთი ნაწილი დიდ ნაყოფიერებას იჩენს. თითქმის ყოველ თვეში „აცხობს“ ახალ პიესებს. საზოგადოებრივ კონტროლს ეს პიესები არ ექვემდებარება. მათი განხილვა და დამტკიცება ხდება აპარატული წესით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი უფერულია, ზერელეა, რაიონის თეატრები მაინც დგამენ.

ამ მოვლენას მეორე ცუდი მხარეც აქვს. რაკი რომელიმე ავტორი „სარაიონო“ დრამატურგთა რიცხვში მოხვდება, შემდეგ დიდი თეატრის კარები მისთვის უმეტეს შემთხვევაში იკეტება. ერთ ასეთ მაგალითს დავასახელებთ. ა. აღლაძემ ყველაზე ადრე დასწერა პიესა პარტიზანების შესახებ. პიესა („სიკვდილზე ძლიერი“) საინტერესოდ არის დაწერილი. სწორედ იმ ხანში მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი ეძებდა პიესას სამამულო ომის თემაზე. თეატრის ხელმძღვანელობამ ა. აღლაძის პიესა უარყო და დადგა ბევრად უფრო სუსტი პიესა—ტურისა და შეინინის „მშობლიური მიწა“. მიზეზი? ა. აღლაძე მხოლოდ სარაიონო თეატრებში იდგმება, და თეატრი დაფიქრდა—ცუდი სპექტაკლი რომ გამოვიდეს,—პასუხისმგებლობა ჩვენ დაგვატყდებაო. „მშობლიური მიწა“ კი ნებადართულია მთავარი სარეპერტუარო კომიტეტის მიერ და თეატრიც თავს დაზღვეულად სთვლიდა. ესეც უარყოფითი მოვლენაა. საქმე იმაში როდია უცნობი დრამატურგისაა პიესა, თუ ცნობილის, საქმე პიესის ხარისხშია. თუ კი პიესა კარგია, დიდმა თეატრმაც უნდა გაუღოს კარები ახალ ავტორს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ყოველი პიესა, რომელი თეატრისათვისაც არ უნდა იყოს იგი განკუთვნილი ავტორის მიერ, უნდა განვიხილოთ მწერალთა კავშირში, მწერალთა საზოგადოებრიობამ უნდა გამოსთქვას მის შესახებ თავისი აზრი, რომ დავეხმაროთ ავტორებს შექმნან მაღალმხატვრული ნაწარმოებები. სასტიკად უნდა აღიკვეთოს ერთი ავტორის მიერ თვეში ერთი პიესის დაწერა იმისათვის, რომ როგორმე ჰონორარი მიიღოს. ჰონორარის ახალი სისტემა დრამატურგებს საშუალებას აძლევს ხანგრძლივად იმუშაონ პიესებზე და შექმნან ეპოქის ღირსეული ნაწარმოები. სარეპერტუარო კომიტეტმაც უნდა განიხილოს ყველა პიესა, რომელიც კი ჩვენს თეატრში უნდა დაიდგას. თავი უნდა დავაღწიოთ პიესების დაყოფას „სარაიონოდ“ და „სადიდთეატროდ“. დადგმის ნება უნდა მიეცეს პიესას, როცა იგი მაღალმხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. თეატრებმა თავიანთი გემოვნების, მიმართულების, შესაძლებლობის მიხედვით თვით უნდა შეარჩიონ რეპერტუარი. უნდა გადაისინჯოს თეატრების ახლანდელი რეპერტუარი, რომელიც საკმაოდ არის დანაგვიანებული ხალტურული პიესებით. სჯობს სულ არ ვუჩვენოთ მაყურებელს სპექტაკლი, ვიდრე ვუჩვენოთ ისეთი წარმოდგენა, რომელიც შერყვნის მის გემოვნებას და სარგებლობის მაგიერ ზიანს მოგვიტანს. ამ მხრივ განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს რაიონებში. რაიონის მაყურებელს კიდევ უფრო სათუთი მოპყრობა უნდა.

ყველა ეს საკითხი არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, როცა გასული სეზონის შედეგებს ვაჯამებთ და ახალი სეზონის პერსპექტივებს ვსახავთ.

გრ. ნუცუბიძე

ქართული ჯაზის გასტროლები შუა აზიაში

შუა აზიის რესპუბლიკებში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს ფილარმონიის ჯაზ-ორკესტრი კომპოზიტორ გუგული თორაძის ხელმძღვანელობით. ორკესტრმა უზბეკეთში, ტაჯიკეთში და ყირგიზეთში დაჰყო სამ თვეს და ამ ხნის განმავლობაში მოაწყო 60-მდე კონცერტი. კონცერტები გაიმართა ტაშკენტში, ფერგანში, სამარყანდში, ჩირჩიკში, ანდიჟანში, ფერხადმშენზე, ფრუნზეში, აშხაბადში და სხვა ქალაქებში.

ქართული ჯაზის გამოსვლებს ყველგან დიდი წარმატება ხვდა წილად. კონცერტებზე სოლისტებად გამოდიოდნენ ბ. კრავეიშვილი, ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი, შ. ფიცხელაური, თ. და ა. აკიმოვები, გ. გავაშელი, ა. ჩახავა და ა. ბარუშნოი. ტაშკენტში ჯაზმა მონაწილეობა მიიღო უზბეკეთის მთავრობის მიერ ამერიკელ სტუმრებისათვის გამართულ საზეიმო კონცერტში.

უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის ხელოვნების საქმეთა სამმართველოებმა სპეციალური ბრძანებით აღნიშნეს ქართული ჯაზის მიერ შუა აზიის რესპუბლიკებში ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობა, მადლობა გამოუცხადეს ჯაზის მთელ კოლექტივს და გამოსთქვეს რწმენა, რომ ჯაზის გასტროლებით საფუძველი ჩაეყრება საქართველოს და შუა აზიის რესპუბლიკების უფრო მჭიდრო ურთიერთ კავშირს კულტურის დარგში.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ ჯაზი კვლავ შეუდგა მუშაობას და ამჟამად საგასტროლოდ მიემგზავრება საქართველოს რაიონებში, შემდეგ კი სოჭში, ტუაფსეში, კრასნოდარში, მაიკოპში, როსტოვში და სხვა ქალაქებში.



ა. ჩეხოვის მოთხრობების ილუსტრაციები მარცხნივ — დიაკონი დუხოვი სწერს საჩივარს („საჩივრის წიგნი“), მარჯვნივ ბელიკოვი („კაცი ფუტლიარში“). ილუსტრაციები შესრულებულია მხატ. დონის მიერ.

რუსთაველის თეატრი

ახალი სეზონის წინ

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში რუსთაველის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ განაცხადა:

1944-45 წლის სეზონი გაიხსნება პირველ სექტემბერს სერგო კლდიაშვილის ახალი ორიგინალური პიესით „ირმის ხევი“. პიესის თემაა კავკასიის გმირული დაცვა. სპექტაკლს სდგამს აკ. ვასაძე, მხატვრულად აფორმებს თ. აბაკელია, ხოლო მუსიკალურად—ვ. გოკიელი. მთავარ როლებს ასრულებენ: დამს. არტ. ნ. ლაფაჩი (ასმათი), დამს. არტ. გ. საღარაძე (შალვა საბაშვილი), დამს. არტ. მ. ჩიხლაძე (დოლგათი), სახ. არტ. ნ. დავითაშვილი (ფატმანი), დამს. არტ. სტ. ჯაფარიძე (ურაზმაგ კოკაევი). ამავე სპექტაკლში ასმათის როლში გამოვა თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მსახიობი მედეა ჩახავა.

ხსენებულ სპექტაკლში დეკორატიული მორთულობა და აქსესუარი განზოგადოებული და ტიპიური ხასიათის იქნება. ჩვენ ვცდილობთ საბჭოთა ქვეყნის საერთო თვისებები გამოვხატოთ; ამ მიზნით მთიულურ კილოზე ამ ხელად ჩვენ უარი ვსთქვით და სცენიური მეტყველება პიესის ფსიქოლოგიური ამოცანების მიხედვით წარვმართეთ.

კავკასიის მისადგომებთან ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განხორციელებული იქნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების დიადი სტალინური გეგმა. მთელი ქართული საბჭოთა ხელოვნება მოწოდებულია ასახოს კავკასიის დაცვის წარმტაცი თემა. ჩვენი თეატრის კოლექტივი აღტაცებით მუშაობს, რათა სპექტაკლი ამ თემის ღირსეულ მხატვრულ განხორციელებად იქცეს.

სპექტაკლი გამიზნული გვაქვს, როგორც პოემა კავკასიის დაცვის თემაზე.

სექტემბრის პირველი რიცხვებიდან ჩვენი თეატრი იწყებს რეპეტიციებს უ. შექსპირის „მეფე ლირზე“, (ი. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბლის თარგმანით). სპექტაკლს დადგამს აკ. ვასაძე, დეკორატიულად გააფორმებს—ს. ვირსალაძე, მუსიკას სწერს ი. ტუსკია. ტექსტის კონსულტანტად მოწვეულია ინგლისური ლიტერატურის მცოდნე ვახ. ჭელიძე.

1925 წელს ბრწყინვალე რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს განზრახული ჰქონდა „მეფე ლირის“ დადგმა. ავადმყოფობის გამო მან ეს ველარ მოახერხა.

რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ თეატრის ხელმძღვანელობამ განიზრახა „ლირის“ დადგმა სრულიად ახალი ინტერპრეტაციით, ვიდრე მარჯანიშვილი ფიქრობდა, მაგრამ ეს ცდაც განუხორციელებელი დარჩა, რადგან ჩვენი თეატრი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, რომ ეს დიდი ტრაგედია სცენიურად დაეძლია.

სამხატვრო-თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს საქართველოში ჩამოსვლამ ჩვენი თეატრის ხელმძღვანელობაში კვლავ აღძრა სურვილი, რომ „ლირზე“ მუშაობა განახლებულიყო. ნემიროვიჩ-დანჩენკო დაგვთანხმდა მონაწილეობა მიეღო რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მუშაობაში და მან იკისრა „ლირის“ დადგმის ხელმძღვანელობა, მაგრამ ნემიროვიჩ-დანჩენკოს ავადმყოფობამ და მოსკოვში მისი გამგზავრების აუცილებლობამ შეაჩერა დამდგმელი ჯგუფის მუშაობა. ბევრი ბჭობის შემდეგ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ გადასწყვიტა საკუთარი ძალებით განეხორციელებინა „მეფე ლირი“. ჩვენ ამ ტრაგედიაში გვაინტერესებს ადამიანის პიროვნების აღორძინების თემა. თუ რა არის „ლირის“ ტრაგედიის დედააზრი, ამის შესახებ იმდენივე აზრია, რამდენიც ფილოსოფიური ტრაქტატი და კრიტიკული წერილი არსებობს ამ საკითხის გარშემო. სამმა საუკუნემ მრავალი საკითხი აღძრა „ლირის“ შესრულების შესახებაც. გავითვალისწინებთ რა მსოფლიო და ქართული თეატრის გამოცდილებას, შევეცდებით კრიტიკულად ავითვისოთ ცნობილი კომენტატორების, კრიტიკოსების და შემსრულებელ-აქტიორების შეხედულებანი ამ ტრაგედიის შესახებ.

„მეფე ლირში“ მთავარ როლებს ასრულებენ: აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, გ. დავითაშვილი, თ. ჭავჭავაძე, დ. მჟავია, ემ. აფხაიძე, ნ. ლაფაჩი, თ. ბაქრაძე, მ. ჩიხლაძე, გ. საღარაძე, მ. თბილელი და სხვ.

პირველ სექტემბრიდან პარალელურად დავიწყებთ მუშაობას ა. ოსტროვსკის ცნობილ კომედიაზე—„ერთიშეცდომა ბრძენსაც მოუვა“ (თარგმნილია სიმონ ჩიქოვანის მიერ). დადგმა დ. ალექსიძის.

მეოთხე პრემიერად ამ სეზონში დაიდგმება შ. დადიანის ორიგინალური პიესა—„შარავანდედი“. პიესა ასახავს ქართველი ხალხის როლს სამამულო ომში. პიესაში მონაწილეობას მიიღებს თეატრის მთელი კოლექტივი.

ამავე სეზონში დაიწყება მზადება პ. კაკაბაძის კომედიის —„კახაბერის ხმალის“ დასადგმელად. განზრახულია დაიდგას მ. ლერმონტოვის—„მასკარადი“.

საფუძვლიანად განახლებული, როლებს ახალი გადანაწილებით აღდგენილი იქნება: უ. შექსპირის—„ოტელო“, და ს. შანშიაშვილის—„არსენა“. განახლდება წარსული რეპერტუარის დადგმები: ედ. როსტანის—„სირანო დე-ბერჟერაკ“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, დ. ერისთავის—„სამშობლო“, კ. გოლდონის—„საპატარძლო აფიშით“, კაცისა და რუეშევსკის—„ოლეკო დუნდიჩი“, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის—„ღალატი“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ და ს. შანშიაშვილის—„კრწანისის გმირები“.

ქრონიკა

არქიტექტურის მუზეუმი კიევში

დიდი აღდგენითი მუშაობის შემდეგ, კიევში გაიხსნა არქიტექტურის მუზეუმი — სოფიის ნაკრძალი, რომელიც წარმოადგენს მე-11 საუკუნის საქვეყნოდ სახელგანთქმულ ხუროთმოძღვრების ძეგლს.

მუზეუმი საფუძვლიან წარმოდგენას აძლევს მნახველებს კიევის რუსეთის ხუროთმოძღვრებაზე, იმდროინდელ საამშენებლო მასალაზე და ტექნიკაზე, ფრესკულ და სამოზაიკო მხატვრობაზე. მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს მარმარილოს სარკოფაგი, სადაც 1054 წელს დაკრძალულ იქნა თავადი იორასლავ ბრძენი. გამოფენილია აგრეთვე სოფიის ტაძრის პირვანდელი არქიტექტურული გაფორმების და პირველი ქვითნაგები საეკლესიო შენობის მოზაიკური იატაკის ფრაგმენტები. გამოფენა დიდძალ მნახველს იზიდავს.

დოკუმენტური ფილმი „მფრინავი სიმაგრეები“

საბჭოთა კავშირის ქალაქების კინო-თეატრების ეკრანზე ამჟამად უჩვენებენ ცენტრალური სტუდიის მიერ გამოშვებულ დოკუმენტურ ფილმს, „მფრინავ სიმაგრეებს“. ფილმი გვიჩვენებს ამერიკული ბომბდამშენების მოფრენას საბჭოთა კავშირის ბაზებში და მათ საბრძოლო მოქმედებას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

საბჭოთა ფილმი „ორი მებრძოლი“ საზღვარგარეთ

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქების თეატრებში უჩვენებენ საბჭოთა ფილმს „ორ მებრძოლს“. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ ამ ფილმისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავს: „ამ ადამიანურ მოთხრობას რუსი ადამიანის სიმამაცეზე ახასიათებს დრამატიული სიღრმე და ფაქიზი იუმორი“. გაზეთები „ნიუ-იორკ პოსტი“ და „დეილი ნიუსი“ აღნიშნავენ ფილმის დიდ მხატვრულ ღირსებას. გაზეთი „პმ“ აცხადებს, რომ ფილმის სიუჟეტი ოსტატურად არის შეკრული და მას მაყურებელი დაძაბულ მდგომარეობაში ჰყავსო. „ნიუიორკ ტაიმსი“ გამოსთქვამს სინანულს იმის გამო, რომ ტექსტის ინგლისური თარგმანი საკმაოდ ვერ გადმოგვცემს რუსული ტექსტის დახვეწილ იუმორსო.

გორბატოვის „დაუმორჩილებელნი“ ინგლისურად

ლონდონის გამომცემლობამ ხეტჩინსონმა გამოსცა კ. ოსიპოვის წიგნი „ალექსანდრე სუვოროვი“, ბორის გორბატოვის „ტარასის ოჯახი“ („დაუმორჩილებელნი“) და არკადი პერვენცევის „განსაცდელი“.

ინგლისური წიგნი საბჭოთა დიპლომატზე

ინგლისურმა გამომცემლობამ „ალენ ენდ ენვინმა“ გამოსცა ჯორჯ ბილენკინის წიგნი: „მაისკი: ათი წელი ელჩის პოსტზე“.

იმავე გამომცემლობამ მესამედ გამოსცა ჯოზეფ მაკლეოზის წიგნი „ახალი საბჭოთა თეატრი“.

„რუსული განმათავისუფლებელი მარში“

კანადური გაზეთი „გაზეტტ“, რომელიც მონრეალში გამოდის, იუწყება, რომ კანადელმა კომპოზიტორმა და ვიოლინზე დამკვრელმა მორის სბრიგერმა, დასწერა მუსიკალური ნაწარმოები „რუსული განმათავისუფლებელი მარში“, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა ჯარების ძლევამოსილი შეტევისადმი სტალინგრადში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ.

ჯონ პრისტლის ახალი კომედია

ლონდონის თეატრში „აპოლოში“ წარმოდგენილ იქნა ჯონ პრისტლის ახალი კომედია: „როგორ ცხოვრობენ ისინი იქ, სამშობლოში“. როგორც თვით ამ პიესის ავტორი—პრისტლი სწერს ჟურნალში „სპექტეიტორში“, პიესა დაწერილია უმთავრესად მოქმედი არმიის იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის, რომელთაც სწყურიათ მიიღონ პასუხი იმ კითხვაზე, რაც სათაურად აქვს ამ პიესას. მოქმედება სწარმოებს ცენტრალური ინგლისის სამრეწველო რაიონში, ლედი სტარფილდი თავის მამულში აწყობს ნადიმს იმის გამო, რომ იგი ერთ-ერთ საავიაციო ქარხანაში ოსტატის თანაშემწედ დანიშნეს. ნადიმზე მისი სტუმრები არიან ოსტატი, ორი მუშა ქალიშვილი, ამერიკელი ოფიცერი, ინგლისელი ჩინოვნიკი, არისტოკრატი, რომელიც ომში გაწვევას თავს არიდებს, და სხვები. გაზეთების ცნობით, ამ პიესას ლონდონში დიდი წარმატება აქვს.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ებაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი,
გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი
რუსთაველის პროსპ. № 21, ტელეფ. 3-64-11

გრძელდება განცხადებების მიღება სამსახიობო, სარეჟისორო და მიმდინარე სასწ. წელს ახლად დაარსებულ თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტებზე. გამოცდები სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტებზე დაიწყება 1944 წლის 5 სექტემბერს, თეატრისმცოდნეობის ფ-ტზე—20 სექტემბერს. სწავლება სამსახიობო ფ-ტზე 4 წლიანია, სარეჟისორო და თეატრის მცოდნეობის ფ-ტზე 5 წლიანი.

დაწვრილებითი ცნობები თ/ინსტიტუტის კანცელარიაში ყოველდღე 3—$5^1/_2$ საათამდე.

დირექცია.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 08084